

ZE GAVLENA

ISSN 2667-9728 (Online)

RAV• art review 12.2023

TEXTILE

შინაარსი content

REACH OF VISUAL PRESENTS
ინტერვიუ **4**

ნინო ყიფშიძე
ტექსტილის ხელოვანი GTG ჯგუფის დამფუძნებელი

ნინო (ჩუკა) კუპრავა **15**
აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი
ტექსტილის ხელოვანი,
GTG ჯგუფის თანადამფუძნებელი

თინა კლიაშვილი **25**
თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის
ტექსტილის დიზაინის ფაკულტეტის ხელმძღვანელი,
ტექსტილის ხელოვანი

ნიკოლოზ ნუსუბიძე **31**
თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის
გობელენისა და მხატვრული ტექსტილის მუზეუმის
კურატორი. მხატვრული ტექსტილის დიზაინერი

REACH OF VISUAL PRESENTS
INTERVIEW **9**

NINO KIPSHIDZE
Textile Artist, Founder Georgian Textile Group GTG

NINO (CHUKA) KUPRAVA **20**
State Silk Museum director, Textile Artist,
Co-founder of the Georgian Textile Group GTG

TINA KLDIASHVILI **28**
Tbilisi State Academy of Arts,
Head of Textile Design Department, Textile Artist

NIKOLOZ NUTSUBIDZE **35**
Curator of the Museum of Tapestry and
Artistic Textiles of the Tbilisi State Academy of Arts
Designer of Artistic Textiles

REACH OF VISUAL PRESENTS
ინტერვიუ დისკუსია **39**

ინინა კოშორიძე ქართული ხალიჩა

REACH OF VISUAL PRESENTS
HISTORICAL DISCOURSE **43**

IRINA KOSHORIDZE - Georgian Carpet

REACH OF VISUAL PRESENTS
მიმოხილვა/REVIEW **47**

„პოპ-აპის“ შემდგომი საუბარი
ნინო ქვირივიშვილი და ღათა ჭიჭილაშვილი
Post-Pop-Up Talk
NINO KVRIVISHVILI AND DATA CHIGHOLASHVILI

REACH OF VISUAL PRESENTS
ანა შანშიაშვილი **48**

ქსოვილის სახეები: არქეტაიპები და ხალხური მემორია

REACH OF VISUAL PRESENTS
ESSEY **51**

ANA SHANSHIASHVILI
Textile Patterns: Archetypes and Folk Memory

REACH OF VISUAL PRESENTS
ხელოვნებათმცოდნის ბლოგი **54**

მარია შერგელაშვილი ტექსტილი და პოლიტიკა

REACH OF VISUAL PRESENTS
BLOG BY ART HISTORIAN **59**

MARIAM SHERGELASHVILI Textile and Politics

REACH OF VISUAL PRESENTS
ზარბაზნა **64**

ქსოვილი - მასალა, იდეა და ექსპერიმენტი

ნინო ჩუბინიშვილი A.K.A. ჩუბიკა

თამუნა ჭაბაშვილი **72**

ნინო ქვირივიშვილი **79**

ნინო ზინაქაშვილი **81**

მარიაანა ჭყონია - **90**

E.A. საზიარო სივრცესთან თანამშრომლობით

ნათო ბაგრატიონი **97**

გვანცა ჯიშკარიანი **102**

ნინი გოდერძია - God Era **108**

ქეთი ნადიბაიძე **113**

REACH OF VISUAL PRESENTS
ZE GAVLENA PRESENTS **79**

**TEXTILE - MATERIAL
CONCEPT AND EXPERIMENT**
NINO CHUBINISHVILI A.K.A CHUBIKA

TAMUNA CHABASHVILI **76**

NINO KVRIVISHVILI **82**

NINO ZIRAKASHVILI **88**

MARIAMA CHKONIA **94**

in collaboration with E.A. shared space

NATO BAGRATIONI **109**

GVANTSA JISHKARIANI **105**

GOD'ERA (NINI GODERIDZE) **111**

KETI NADIBAI DZE **116**



ნილო ყიფშიძე

ტექსტილის ხელოვანი,
ქართული ტექსტილის ჯგუფის
ღამფუძნებელი



PRESENTS

ინტერვიუ

როგორ დაინტერესდით ტექსტილის ხელოვნებით თავდაპირველად?

ესე ზუსტად არ მახსოვს. ჩემთვის ძალიან შთამბეჭდავი იყო არქიტექტორ ვიქტორ ჯორბენაძის თუშური სახიანი ნაბდების კოლექცია და მისი მოძიებული კედლის საფენი სავარაუდოდ, აღმოსავლეთ საქართველოდან. ეს არის თუშური ნაბდის ქუდების შეკერვისას მორჩენილი ნაკუნებისგან შედგენილ შავ ფონზე ორი ირემის გამოსახულება წყაროსთან. შავ ფონზე ფერადოვანი გამოსახულებები საოცრად მისტიურ გარემოს ქმნის. საინტერესოა მხატვარ თენგიზ მირზაშვილის მოძიებული "თიკვის" კედლის საფენის - "თიკვის" იშვიათი ხელმოწერილი ნიმუში - სილო ჭაბუკაიძე, 1925 წელი. სილო ჭაბუკაიძის ნამუშევარი. ეს ნამუშევარი თითქოს მონუმენტური, ეპიკური ტილოა სადაც მთელი სამყარო წარმოდგენილი საოცარი გამომსახველობით. სამწუხაროა რომ ასეთი ნიმუშები აღარ არის შემორჩენილი.

მახსენდება მანანა თავაძის ქართული დროშების სერია. ჩემი პირველი შეხება ქსოვილთან ზაფხულის არდადეგებზე ბავშვებისათვის ჩემი შეკერილი კედლის საფენია, საბანი და თოჯინები.

შემდეგ ვაკეთებდი ქსოვილის აპლიკაციებს, ვთელავდი სახიან ნაბდებს. აშშ-ში ცხოვრების დროს ბევრს ვმუშაობდი მცირე ზომის ქსოვილის კოლაჟებზე, ვესწრებოდი ხელნაკეთი ქაღალდის დამზადების, ქსოვილის ზედაპირის დამუშავების - ღებვის, ბეჭდვის ლექცია დემონტრაციებს

პროფესიით ხელოვნებათმცოდნე ხართ. თქვენი კვლევის სფერო თუ იყო ტექსტილის ხელოვნება?

თავიდან არა. გიორგი ჩუბინაშვილის ქართული ხელოვნების ინსტიტუტში თანამედროვე ხელოვნების განყოფილებაში მუშაობისას ვიკვლევდი თანამედროვე ქართულ ფერწერას. ინსტიტუტში მუშაობამ, არაჩვეულებრივ ადამიანებთან ურთიერთობამ ძალიან დიდი შემოქმედებითი გამოცდილება მომცა. თეორიის გარდა ყოველთვის მაინტერესებდა ფერწერა. ვესწრებოდი ედმონდ კალანდაძის ხატვის ლექციების კურსს, რომელიც მან საგანგებოდ ხელოვნებათმცოდნეებისთვის მოამზადა.

მოგვიანებით, როდესაც "ქართული ტექსტილის ჯგუფთან" ერთად ვმუშაობდი ტრადიციული რეწვის განვითარების პროექტებზე ჯავახეთში, თუშეთში, ვახეთში გვინევდა სავლეთ მუშაობა ხალხურ ოსტატებთან და ეთნოგრაფ ნანული ამიკურთან ერთად, რაც ჩემთვის ახალი და შთამბეჭდავი გამოცდილებაა.

ვიკვლევ თუშურ სახიან ნაბადს. ეს ნამუშევრები განზოგადების, მონუმენტურობის, მხატვრულობის ხარისხით საოცარი თვითმყოფადობით გამოირჩევა. რამდენიმე წელი ვასწავლი-

დი სახიანი ნაბდის თელვას და ხელოვნების ისტორიას სახელობო კოლექტში ახალქალაქში. თვითონაც ხშირად ვმუშაობ ამ მასალაში, ეს მედიუმი ჩემთვის ძალიან მიმზიდველია, რადგან თელვის პროცესი და შედეგად მოულოდნელი ფერწერული ეფექტების სპონტანურობა იძლევა იმპროვიზაციის საშუალებას.

რამდენიმე წელი ვმუშაობდი საქართველოს ერთერთ უძველეს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმში. მუზეუმი "კავკასიის შინამრეწველობის კომიტეტის" კოლექციის ბაზაზეა შექმნილი. აქ დაცული ექსპონატები, შინამრეწველობის კომიტეტის არქივი მთელს კავკასიას მოიცავდა. ეს მასალა არის საკვლევი და შემოქმედებითი ინსპირაციის უშრეტი წყარო. სამწუხაროდ მუზეუმი გაუქმდა და ამჟამად იქცა ერთერთ რიგით კოლექციად სხვა პროფილის მუზეუმში.

როგორია თქვენი საშუალო პროცესი?

ქსოვილის აპლიკაციაზე მუშაობის პრინციპი დაზგურ ფერწერაში მუშაობას გავს. ქსოვილის თითოეული ამოჭრილ ფრაგმენტს ფერწერული მონასმივით იყენებ. ვცდილობ ქსოვილის, როგორც მასალის შესაძლებლობების გამოვლენას.

თითოეული ქსოვილის ფრაგმენტს თავის ესთეტიკა - ფაქტურა ფერადოვნება, დიზაინი და ინფორმაციული შრე აქვს. ვცდილობ ნამუშევარში გადმოვცე გარკვეული შთაბეჭდილება, განწყობა და ამასთან ერთად შევინარჩუნო ხელნაკეთობის განცდა და გამოყენებითი ხელოვნებისათვის სპეციფიური დეკორატიულობა.

თქვენს შემოქმედებაში თუ არის სიახლოვე ფერწერასთან? მაგალითად ის შავი ფონი, რომელსაც ხშირად აკლიკაციის ანუ შავი ფონით შთაგონებით ფიროსმანს და მის „მუშაობას“ თუ უკავშირდება?

ფიროსმანი რა თქმა უნდა ჩემთვის გამორჩეული და შთამაგონებელია, საოცარია თუ როგორ იყენებს სასურათე სიბრტყეს, მუ-

შაბის შავ ფერს და მხოლოდ რამოდენიმე მონასმივით ქმნის უაღრესად მეტყველ გამოსახულებას.

შავი ხავერდი იყო ჩემთვის თავდაპირველი ძვირფასი მასალა. ის ერთდროულად მოიცავს სივრცის ილუმინას, სიღრმეს და სასურათე სიბრტყის განცდას, იძლევა მინიმალისტურად მუშაობის შესაძლებლობას.

90-იან წლებში განსაკუთრებით აქტიურად მუშაობდით საორგანიზაციო მიმართულებით, ღამფუნდამენტული ხარისხით GTG – ქართული ტექსტილის ჯგუფის.

როგორ დაიბადა ეს იდეა?

ამ მხრივ ჩვენთვის პირველი მნიშვნელოვანი გამოფენა იყო 1993 წელს ბელგიაში ქალაქ ტურნეში გამართული გობელენის საერთაშორისო ტრიენალე - „სხვა ევროპა“. გამოფენა "სხვა ევროპის" ექსპოზიცია მიმოფანტული იყო მთელს ქალაქში. ჩემი ამ გამოფენასთან კავშირი მოულოდნელი იყო. გამოფენის თანაორგანიზატორები საქართველოში ოფიციალური წერილების გამოგზავნით ვერაფერს გახდნენ, რადგან არავინ ჰასუხობდა და შემდეგ პირადი კონტაქტებით დაუკავშირდნენ კერამიკოსს ნინო ციციშვილს.

ნინომ მოხოვა დავხმარებოდი მხატვრებს საორგანიზაციო საკითხებში რადგან ორივეს მიგვაჩნდა რომ ამ გამოფენაზე საქართველოს წარმოჩენა იმ დროისათვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ასე გავხდით გამოფენის ქართული ნაწილის კომისარი.

მხატვრების დათანხმება, ნამუშევრების შეგროვება, დოკუმენტაციის მომზადება, ტრანსპორტირება საკმაოდ რთული იყო, რადგან გამოცდილება არ გვქონდა. ექსპოზიცია მიმოფანტული იყო მთელ ქალაქში. მასხოვს იმ დროისთვის იშვიათი ფუფუნების საგნით, ჰატარა ვამერით გადავიღე ექსპოზიცია, ჩავინერე ინტერვიუები ავტორებთან, რომ შემდეგ თბილისში გამეზიარებინა ჩემი შთაბეჭდილებები. გავიცანი ბეატრის შტერკი და დიტმარ ლოე ევროპის ტექსტილის ქსელის ETN-ის დამფუძნებლები. მათთან შეხვედრა გადამწყვეტი აღმოჩნდა. ასოციაცია გამოსცემდა ყოველთვიურ გაზეთს და კვარტალურ ჟურნალს Textile Forum-ს



რამდენიმე ევროპულ ენაზე. აქ ქვეყნდებოდა ინფორმაცია ტექსტილის სფეროში ყველა მნიშვნელოვან მოვლენაზე - მიმდინარე გამოფენებზე; მომავალ გამოფენაზე და კონკურსებზე მონაწილეობის შესაძლებლობაზე; ქსოვილების კულტურულ მემკვიდრეობაზე; ქსოვილების სწავლების საგანმანათლებლო ასპექტებზე; ქსოვილების ინდუსტრიაზე - რაც ასე საჭირო ინფორმაცია იყო მხატვრებისათვის საქართველოში.

ეს იყო საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდი და ცხადია უცხოეთშიც აინტერესებდათ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების და აღმოსავლეთ ევროპის ტექსტილის ხელოვნება. ტურნეს გამოფენასაც ასე ერქვა "სხვა ევროპა".

ETN-ის თხოვნით მივანოდე საქართველოში ტექსტილთან დაკავშირებული ინსტიტუციების ჩამონათვალი. აქედან პირველად გაიგეს საქართველოში აბრეშუმის მუზეუმის შესახებ და მთხოვეს პერიოდული ჟურნალისათვის Textile Forum-ისთვის მომემზადებინა სტატია მუზეუმის შესახებ. სტატიაზე მუშაობისას გავიცანი მუზეუმის მაშინდელი ხელმძღვანელი ირინე ჭოტორლიაშვილი. ის საოცარი ენთუზიამით და სიხარულით შეხვდა ამ ინტერესს. ქალბატონი ირინე უაღრესად ღია იყო თანამშრომლობისთვის. ის ყოველთვის უდრეკი ფარივით იცავდა აბრეშუმის მუზეუმს. სტატიას მოყვა სპეციალისტების დიდი გამოხმაურება და შემდეგ კიდევ ერთი სტატია სხვა გერმანულენოვან ჟურნალში.

ამ გამოფენაზე, როდესაც საერთაშორისო მასშტაბით გაიტანეთ ნამუშევრები საქართველოდან, რამდენად განსხვავებული იყო ეს მასალა საერთო გლობალური სახელოვნებო სივრცისგან?

გამოფენაში მონაწილეებმა 250-მდე ავტორი ჩვიდმეტი ქვეყნიდან, ცხადია აქ იყო ყველანაირი ტექსტილი, გობელენი, სივრცითი ტექსტილი, ტექსტილის ობიექტები შესრულებული მრავალფეროვანი მასალით.

ჩვენი კოლექცია გამორჩეული იყო მონუმენტურობით, დახვეწილობით და ფერადოვნებით. ჩემთვის გამორჩეული იყო სლოვენის და პოლონეთის ექსპოზიცია. აქ პირველად გავიგე ლოზანის ქსოვილების ბიენალეს შესახებ.

სლოვენის პავილიონის კურატორმა 1993 წელს მიგვიწვია გამოფენაზე „Common Space“ ბრატისლავაში, სადაც გამოიფინა ნინო ჩაჩხიანის, ნინო კუპრავას და ჩემი ნამუშევრები. ეს ის პერიოდი, როდესაც ნადგურდება ქსოვილის საწარმოები. მიტოვებული გამოშვებული აბრეშუმის ფაბრიკის შენობაში კოსტავას ქუჩაზე მიმოფანტული იყო ქსოვილების სხვადასხვა საფეიქრო დამზების ნარჩენები. სწორედ ეს ინდუსტრიული ნარჩენები, საქსოვი დამგის დეტალები, ლითონის მავთულები, ძაფი, აბრეშუმი, გამოიყენეს მასალად ნინო კუპრავამ და ნინო ჩაჩხიანმა. ჩემი ნამუშევარი მოთელილი ნაბდის ზარდახმა იყო, სადაც რკინის ჯაჭვები და ცარიელი ტყვიები ეყარა. ეს ნამუშევრები იმდროინდელი ყოფის ერთგვარი გამოძახილი იყო. ბრატისლავაში ნამუშევრები თვითონ წავიდეთ. ცხადია აეროპორტში ბევრი კითხვა დაგვისევს, რთული იყო მებაჟეების დარწმუნება რომ ეს ფერადი ლითონების შემცველი ბარგი ნამდვილად საგამოფენო ნამუშევრებია. ბრატისლავის კონცეპტუალური ტექსტილის გამოფენა, სივრცითი მხატვრული ტექსტილის ობიექტები ჩვენთვის ახალი გამოწვევა იყო.



GTG-ს აქტიურ პერიოდში საერთაშორისო ასპარეზზე ხშირად არამხოლოდ ნამუშევრებს წარადგენდით, არამედ სამეცნიერო მოღვაწეობასაც ეწეოდით და აორგანიზებდით როგორც აქ სიმპოზიუმებს, ასევე მონაწილეობდით საერთაშორისო კონფერენციებზე. გაგვიზიარეთ ეს გამოცდილება.

“ქართული ტექსტილის ჯგუფის” მიერ პირველი საერთაშორისო ტექსტილის სიმპოზიუმის მოწყობის მოტივაცია აბრეშუმის მუზეუმის გაუქმების საფრთხე იყო. ვიფიქრეთ, რომ სიმპოზიუმზე მონაწილე ტექსტილის ექსპერტები, ხელოვნები დაადასტურებენ ამ უნიკალური მუზეუმის არსებობის მნიშვნელობას და მასშტაბური



საერთაშორისო ფორუმი დაარწმუნებს სახელმწიფოს აბრეშუმის მუზეუმის თავდაპირველი სახით შენარჩუნების აუცილებლობაში.

ამ პერიოდში მუზეუმი ეკუთვნოდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს და განიხილებოდა როგორც დარგობრივი კოლექცია. იგეგმებოდა კოლექციის გადატანა სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტში.

აბრეშუმის მუზეუმში ინახება აბრეშუმის წარმოებასთან აბრეშუმის ქსოვილთან დაკავშირებული იშვიათი კოლექციები და უნიკალურია იმითაც რომ მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს აგებული შენობა და საექსპოზიციო კარადები იმთავითვე საგანგებოდ მუზეუმისათვის იყო დაპროექტებული. ცხადია კოლექციის სხვა გარემოში გადატანა დაუშვებელი იყო.

პირველი სიმპოზიუმის პროგრამა საკმაოდ ამბიციური გამოგვივიდა, მოიცავდა რამდენიმე მიმართულებას: თანამედროვე ტექსტილის ხელოვნებას, ტექსტილის საგანმანათლებლო სფეროს, ტრადიციული ტექსტილის კულტურულ მემკვიდრეობას. ევროპის ტექსტილის ქსელთან თანამშრომლობით მოვიწვიეთ წამყვანი ექსპერტები და მხატვრები.

ჩვენი ადამიანური, ტექნიკური თუ ფინანსური რესურსი ძალზე მწირი იყო.

ჩემს გარშემო მხოლოდ ერთ მეგობარს ქონდა კომპიუტერი და პრინტერი სახლში, ფაქსის გაგზავნას მხოლოდ ფოსტიდან ვახერხებდით. გვეხმარებოდნენ კოლეგები და მეგობრები, ისინი კი ვისაც ტექსტილთან არაფერი ქონდათ საერთო.

უცხოელ კოლეგებს GTG დიდი ორგანიზაცია ეგონათ, სინამდვილეში კი ვიყავით სამზარეულოში შეკრებილი რამდენიმე ენთუზიასტი, ამბიციური მიზნებით და ამოცანებით. თავდაპირველად, ნინო კუპრავა, ნინო ჩაჩხიანი და მე; თანდათან ფართოვდებოდა მიზნები, გაჩნდა აუცილებლობა წარმოგვეჩინა ქართული ქსოვილების კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშები, შემოგვემატა ხელოვნებათმცოდნე ირინა კოშორიძე. მუშაობასთან ერთად იზრდებოდა ჩვენი ასოციაცია, გვემატებოდნენ მხატვრები, ხელოვნებათმცოდნეები, ეთნოგრაფები, ხალხური ოსტატები.



სიმპოზიუმი აბრეშუმის მუზეუმის შენობაში ჩატარდა. კოლეგების წარმოდგენილი თანადგომით მოეწყო მასშტაბური გამოფენები იმ დროისათვის მთავარ საგამოფენო სივრცეებში. თბილისის ისტორიის მუზეუმში ლიკა მამაცაშვილის მხარდაჭერით, ირინე კოშორიძემ მოაწყო „კავკასიური ხალიჩის“ გამოფენა, სამუზეუმო სივრცეში ნაბდის ტანსაცმლის და აქსესუარების ჩვენება; ქართული თანამედროვე ტექსტილის რეტროსპექტული გამოფენა ეროვნულ გალერეაში;

ნინო კუპრავას „ქართული აბრეშუმის“ პროექტის წარდგენა ხელოვნების მუზეუმში, სადაც საგამოფენო სივრცეში გაიმართა გიორგი ნადირაძის ქართული აბრეშუმის თემაზე შექმნილი კოლექციის ჩვენება ეს იმ დროისათვის მართლაც სიახლე იყო: საერთაშორისო ტექსტილის გამოფენა TMS გალერეაში, შემდეგ ისევ თბილისის მუზეუმში სადაც ტექსტილის მხატვრებთან ერთად მონაწილეობდნენ ვიზუალური არტისტებიც. პირველი გამოფენის კატალოგები ხელით იყო აკინძული. ნინო ჩაჩხიანი იყო ყველა ჩვენი პროექტის ბეჭდვითი მასალის და ასოციაციის ვებგვერდის დიზაინერი. აღსანიშნავია ინტერნეტ გვერდზე განთავსებული მრავალფეროვანი ინფორმაცია - ასოციაციის პროექტებზე, ტექსტილში მომუშავე ადგილობრივ მხატვრებზე, საქართველოს თითქმის ყველა მუზეუმის ტექსტილის კოლექციებზე - ხელმისაწვდომი გახდა.

საქართველოში ქსოვილების სფეროში მომუშავე სპეციალისტების ნდობა და მონაწილეობა, ჩვენს ენთუზიაზმს კიდევ უფრო აძლიერებდა.

უცხოელი მონაწილეები თავის ხარჯით ჩამოდიოდნენ, მათთვის საქართველო თავის კულტურით, თვითმყოფადობით, ადამიანური ურთიერთობების გამო ახალი გამოცდილება იყო.

ბევრ მათგანთან დიდი მეგობრობა დღემდე გვაკავშირებს. ისინი წლების მანძილზე ჩამოდიოდნენ და უსასყიდლოდ ატარებდნენ სხვადასხვა ტექსტილის ტექნიკების მასტერკლასებს თბილისში და რეგიონებში. ჰოლანდიელი ინგე ვერსი ასწავლიდა აბრეშუმის ქალაღდის, აბრეშუმის და მატყლის ერთად დამუშავების ტექნოლოგიას, შვეიცარიელი არტისტი დორა ჰოფერი აბრეშუმის და შალის თელვას, ქსოვილზე ბეჭდვას; ამერიკელი კარენ მასგრევივი ქვილთს; ჯონ მორისი ღებვას და სხვები. ისინი წლების მანძილზე გვიზიარებდნენ ცოდნას, სამუშაო მასალას, გვანჯიდიდნენ ლიტერატურას, აბრეშუმის მუზეუმისათვის ტექსტილის სამუზეუმო ექსპონატებს.



ჩვენთვის განსაკუთრებით სასიხარულო იყო რომ ამ ზოგიერთი ტექნოლოგიის ცოდნით შესრულდა რამდენიმე სადიპლომო ნამუშევარი სამხატვრო აკადემიაში.

დღევანდელი გადმოსახედიდან როგორ შეაფასებდით ტექსტილის სფეროს განვითარებას საქართველოში?

ვფიქრობ მეტი პოპულარიზაციაა საჭირო, მეტი გამოფენების ორგანიზება, რომ ადამიანმა თვალნათლივ დაინახოს ტექსტილის მხატვრული შესაძლებლობები, მისი მნიშვნელობა ინტერიერში და ყოველდღიურ ყოფაში.

დღეს გაიოლებულია წვდომა თანამედროვე ტექსტილის ხელოვნებაზე, აღარ არის რთული თანამშრომლობა საერთაშორისო სივრცესთან, თუმცა აუცილებელია საერთაშორისო ტექსტილის გამოფენების მოწყობა, რომ ადგილობრივი მხატვრების

ნამუშევრები გამოიფინოს გლობალურ კონტექსტში.

მართალია ადგილობრივ ტექსტილის საგანმანათლებლო ინსტიტუციებს გობელენის მდიდარი გამოცდილება აქვთ, თუმცა აღარ აქვთ ვაჭირი საფეიქრო ინდუსტრიასთან რომელიც თითქმის უკვალოდ გაქრა ამ სფეროში დასაქმებულ მხატვრების ისტორიისა და გამოცდილებასთან ერთად.

არ არის ვაჭირი ქსოვილის ტრადიციულ წარმოებასთან (ნაქარგობა, ფარდაგი, ნაბადი, ღებვა, ქსოვა).

ტრადიციული რეწვის ასოციაცია აქტიურად მუშაობს ხალხურ ოსტატებთან მათ შორის ტექსტილის სფეროში, თუმცა ადგილობრივ დონეზე ოსტატებთან მუშაობა და ტრადიციული ტექსტილის სახელოსნოების შექმნას თავდაპირველად დიდი ფინანსური რესურსი ჭირდება. ამ საქმისთვის არ არის სახელმწიფოს ნება, მკაფიო კულტურის პოლიტიკა; დაკნინებულია ხელოსნობის ცნება, დაუფასებელია ხალხური ოსტატი. ხანდამული ოსტატებთან ერთად ქრება ტრადიციული რეწვის დარგების ცოდნა. ამ ყველაფერს ერთვის რეგიონებში ადამიანური რესურსის გადინების დრამატული მასშტაბი.

Nino Kipshidze

Textile Artist
Founder of GTG – Georgian Textile Group





Mariam Shergelashvili:

HOW DID YOU INITIALLY GET INTERESTED IN TEXTILE ART?

I am not exactly sure, but I recall being deeply moved by architect Viktor Jorbenadze's collection of felt cloaks with Tushetian patterns and a particular wall covering, likely from Eastern Georgia. These were uniquely crafted from leftover yarn scraps used in hat-making. One striking piece featured two deer at a spring, set against a black background, with images meticulously cut from single-colored cotton fabrics. Equally memorable was a rare "Tikvi" layer from artist Tengiz Mirzashvili's collection, a creation of Sido Chabukaidze, made in 1925. It is regrettable that such artifacts are scarce today.

I also remember being captivated by Manana Tavadze's series of Georgian flags.

My initial foray into fabric work began with a quilted wall hanging, a blanket, and dolls I made for my children during summer vacations.

Later, I experimented with fabric appliques and pressed faceted patterns. My time in the USA was marked by extensive work on small-scale fabric collages, alongside participation in workshops and demonstrations on handmade paper-making, fabric dyeing, surface treatment, and printing techniques.

Mariam Shergelashvili: AS AN ART HISTORIAN BY PROFESSION, WAS TEXTILE ART YOUR FIELD OF RESEARCH?

Not initially. My work at the Giorgi Chubinashvili Institute of Georgian Art involved researching modern Georgian painting. The opportunity to work at the institute and interact with remarkable individuals provided me with a wealth of creative experience. While my focus was largely theoretical, I always harbored a deep interest in painting. I even participated in a special painting lecture course by Edmond Kalandadze, designed for art historians.

My journey took a new turn with the "Georgian Textile Group" when I

worked on traditional crafts development projects in regions like Javakheti, Tusheti, and Kakheti. These projects required working closely with local folk masters and ethnographer Nanuli Azikuri, offering me a fresh and enriching perspective.

My explorations led me to seek Tushetian felt patterns in my work, which are notable for their generalization, monumentality, and artistic expression. For several years, I taught painting and art history at an art college in Akhalkalaki, often working with materials that allowed for improvisation due to their unpredictability and the spontaneity of the resulting pictorial effects.

I also spent several years at one of Georgia's oldest folk and applied arts museums, which was founded on the collection of the Caucasian Handicraft Committee. The exhibits and the extensive archives covering the entire Caucasus region were a treasure trove of research and artistic inspiration. Regrettably, the museum was eventually dissolved, and its unique collection was relegated to being a part of a different museum's holdings, losing its distinct identity and value.

Mariam Shergelashvili: WHAT IS YOUR WORK PROCESS LIKE?

The principle of working on fabric application is similar to working in easel painting. You use each cut piece of fabric as a stroke of paint.

I try to reveal the possibilities of fabric as a material.

Each fabric fragment has its own aesthetics - texture, color, design and informational layer. I try to convey a certain impression, mood in the work and at the same time keep the feeling of handcraft and decorativeness specific to applied art.

Mariam Shergelashvili: IS THERE A CONNECTION TO PAINTING IN YOUR WORK? FOR EXAMPLE, IS THE BLACK BACKGROUND THAT YOU OFTEN USE IN THE APPLICATION INSPIRED BY PIROSMANI AND HIS WORK?

Pirosmani's work is undeniably exceptional and a constant source of inspiration for me. Every time I view his creations, I am surprised and delighted. It is remarkable how he harnesses the flatness of the canvas and the black hue of oil-cloth to craft highly expressive imagery with just a few brushstrokes.

For me, black velvet has always been a material of significant value. It encompasses an illusion of space and depth while maintaining a sense of flatness. This unique combination allows me the freedom to work in a minimalist style, exploring the material's potential in various artistic expressions.

Mariam Shergelashvili: YOU WORKED PARTICULARLY ACTIVELY IN THE ORGANIZATIONAL DIRECTION IN THE 90S, YOU ARE THE FOUNDER OF GTG - GEORGIAN TEXTILE GROUP, HOW DID THIS IDEA COME ABOUT?

The International Tapestry Triennial, "Other Europe," held in Tournai, Belgium in 1993, was a significant exhibition for us. My involvement with this event came about unexpectedly. The co-organizers, unable to receive responses from official letters sent to Georgia, eventually reached out through personal contacts to ceramist Nino Tsitsishvili.

Nino enlisted my help with organizational tasks, as we both recognized the importance of representing Georgian art at this exhibition. This led to my role as the commissioner for the Georgian segment of the show. The process, involving artist coordination, work collection, documentation,



and transportation, was challenging due to our lack of experience.


The exhibition was spread throughout the city. With a small camera, a rare luxury at that time, I documented the exposition, conducted interviews with the artists, and later shared these experiences in Tbilisi. It was at this exhibition that I met Beatrijs Sterk and Dietmar Laue, founders of the European Textile Network (ETN). My interaction with them proved to be pivotal. ETN published a monthly newspaper and a quarterly magazine, *Textile Forum*, in several European languages, providing crucial information on textile-related events, exhibitions, competitions, cultural heritage, educational aspects, and the textile industry – all invaluable to Georgian artists.


This period coincided with the collapse of the Soviet Union, and there was a clear interest in textile art from the former Soviet republics and Eastern Europe, hence the exhibition's title, "Other Europe." At ETN's request, I compiled a list of textile-related institutions in Georgia. This was the first time they heard about Georgia's Silk Museum and asked me to write an article about it for *Textile Forum*. While working on the article, I met with the museum's then-head, Irine Chotorlishvili, who welcomed this interest with incredible enthusiasm and openness. Irine was a stalwart defender of the Silk Museum. The article received considerable attention from specialists, leading to another feature in a different German-language magazine.

Mariam Shergelashvili: AT THIS EXHIBITION YOU EXHIBITED WORKS FROM GEORGIA ON AN INTERNATIONAL SCALE. HOW DIFFERENT WAS THIS MATERIAL FROM THE GENERAL GLOBAL ARTISTIC SPACE?

The exhibition featured a diverse array of authors from seventeen countries, showcasing a wide variety of textiles including tapestries, spatial textiles, and textile objects crafted from different materials. Our collection stood out for its monumental scale, intricacy, and vibrant colors. I was particularly impressed by the expositions from Slovenia and Poland, and it was at this venue that I first learned about the Lausanne Textile Biennale.

In 1993, the curator of the Slovenian Pavilion invited us to participate in the "Common Space" exhibition in Bratislava. This exhibition included works by Nino Chachkhiani, Nino Kuprava, and myself. This period was marked by the decline of fabric factories, and in the building of the deserted silk factory on Kostava Street, remnants of various textile weaving machines lay scattered. Nino Kuprava and Nino Chachkhiani utilized these industrial remnants, parts, metal wires, thread, and silk as materials for their creations. My contribution was a chest made of flattened felt adorned with iron chains and empty bullet casings. These works were a reflection of the times we were living in.





We personally transported our works to Bratislava. Obviously, we were asked a lot of questions at the airport. Convincing customs officials that our luggage, filled with non-ferrous metals, contained legitimate exhibition pieces was no easy task. Participating in the Bratislava conceptual textile exhibition, which focused on spatial artistic textile objects, presented us with a new and exciting challenge.

Mariam Shergelashvili: DURING THE ACTIVE PERIOD OF GTG, YOU OFTEN PRESENTED YOUR WORKS ON THE INTERNATIONAL ARENA, AS WELL AS ENGAGED IN SCIENTIFIC WORK AND ORGANIZED SYMPOSIA HERE. YOU ALSO PARTICIPATED IN INTERNATIONAL CONFERENCES. SHARE THIS EXPERIENCE WITH US.

The primary motivation for the "Georgian Textile Group" organizing the first international textile symposium was the looming threat to the existence of the Silk Museum building. We believed that inviting textile experts and artists to the symposium would underline the importance of preserving this unique museum, hoping that such a large-scale international forum would persuade the government to maintain the museum in its original state.

At the time, the museum, under the Ministry of Agriculture, was seen merely as a branch collection and there were plans to transfer its holdings to the Agricultural Institute. The Silk Museum, however, is home to rare collections related to silk production and silk fabric. Its building, constructed in the late nineteenth century, and the exhibition cabinets were specifically designed for the museum, making the transfer of its collection to another location inadvisable.

The symposium's program was ambitious, covering modern textile art, educational aspects of textiles, and the cultural heritage of traditional textiles. In collaboration with the European Textile Network, we managed to invite leading experts and artists, despite our limited human, technical, and financial resources. At that time, we had minimal access to technology like computers and printers, and relied heavily on the support of colleagues and friends, even those unrelated to textiles.

Outsiders often perceived the GTG as a large organization, but in reality, it was a small group of enthusiasts with big goals, initially just Nino Kuprava, Nino Chachkhiani, and me. As our objectives expanded, art critic Irina Koshoridze joined us, and soon our association grew to include artists, art historians, ethnographers, and folk craftsmen.



The symposium took place in the Silk Museum, supported incredibly by colleagues and leading to large-scale exhibitions in major spaces. Lika Mamatsashvili and Irine Koshoridze organized an exhibition of "Caucasian carpet" at the Museum of Tbilisi History, showcasing felt clothes and accessories. The National Gallery hosted a retrospective of Georgian modern textiles, and the Museum of Art presented Nino Kuprava's "Georgian Silk" project, featuring Giorgi Nadiradze's collection. Additionally, an international textile exhibition at the TMS Gallery involved both visual and textile artists, with some catalogs being handmade. Nino Tchatchkhiani was a designer of all our project printed materials and association website. It is worth noting that the various information posted on the website - about association projects, local artists working in textiles, textile collections of almost all Georgian museums became available.

The enthusiasm and participation of local fabric specialists further fueled our drive.

Foreign participants, drawn by Georgia's unique culture and identity, bore their own expenses. Many of them became long-term friends, returning over the years to conduct free masterclasses in various textile techniques across Tbilisi and other regions. Instructors like Dutch Inge Evers, Swiss Dora Hofer, American Karen Musgrave, and Joan Morris shared their expertise in silk paper, silk and wool processing, weaving, fabric printing, quilting, dyeing, and more. Their contributions included sharing knowledge, working materials, literature, and even exhibits for the Silk Museum.

It was particularly rewarding to see several diploma works at the Art Academy completed using some of these technologies, a testament to the symposium's success and impact.

Mariam Shergelashvili: LOOKING BACK TODAY, HOW WOULD YOU ASSESS THE DEVELOPMENT OF THE FIELD OF TEXTILE IN GEORGIA?

To truly appreciate the artistic potential of textiles, their significance in both interiors and daily life, more promotion and exhibition organization are crucial. This visibility allows people to understand and value the medium's creative possibilities.

Access to modern textile art has expanded in contemporary times, making international collaboration more feasible. However, to showcase the talents of local artists on a global stage, there is a need to organize international textile exhibitions.

While local textile educational institutions boast a rich history in tapestry, they have lost their connection to the now nearly extinct textile industry, along with the history and expertise of artists who once thrived in this sector. Similarly, there is a disconnect from traditional fabric production methods like embroidery, carpet weaving, dyeing, and loom weaving.

The Association of Traditional Crafts is actively engaged with folk masters in textiles, but establishing traditional textile workshops at the local level requires substantial financial resources. Unfortunately, there is a lack of governmental willingness and a clear cultural policy to support these initiatives. The concept of craftsmanship is diminishing, and the value of the folk craftsmen is not adequately recognized. As the older generation of masters ages, the knowledge of traditional crafts risks disappearing. This is compounded by a significant human resource drain in the regions, adding to the challenges in preserving and promoting these valuable skills and heritage.

ჩუკა



ნინო კუპრაძე



აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი, ტექსტილის ხელოვანი, GTG ქართული ტექსტილის ჯგუფის თანადამფუძნებელი

ხელოვანი, გამორჩეულად შემოქმედაბითი და არაორდინალური პიროვნება,
რომელიც მუდმივად მზადაა შემოქმედაბითად დაგმუხტოს -
ასეთი ლაკონური დახასიათებით შეიძლება გავაცნო ჩვენს მკითხველს
ნიკო ჩუკა კუპრავა



მ.შ.

ჩემდა სასიხარულოდ ხანგრძლივი თანამშრომლობის და მეგობრობის ფაზაში ბევრ საინტერესო იდეას გავიხსენებ, რაზეც ერთად გვიმუშავია, ან რაც შენგან გამორჩეულ ამბად თუ ისტორიად მომისმენია. პირადად ჩემთვის ტექსტილით დაინტერესებაც და უშუალო შეხებაც აბრეშუმის მუზეუმში ჩვენს გადაკვეთას უკავშირდება და ამ ურთიერთობის შედეგია. მასსოვს თქვენი ინიციატივით ასეთი ლექციების ციკლიც გვექონდა მუზეუმში „არის თუ არა ტექსტილი ხელოვნება?“, ბევრი საინტერესო ადამიანი მოვიწვიეთ, მოვუსმინეთ და შემდგომ სამომავლო თანამშრომლობებიც განაპირობა ამ დისკუსიებმა. ახლაც ამ ზოგად შეკითხვას მივუბრუნდები და მსურს თქვენი პოზიცია გაგვიზიაროთ - რატომ ჩნდება კითხვის ნიშანი ტექსტილსა და ხელოვნებას შორის? თქვენი შემოქმედებით გამოცდილებით როგორ პასუხობდით ამ საკითხს?

მადლობა ასეთი წარდგენისთვის მარიამ. ყველა ის ადამიანი რომელიც ამ დისკუსიაში მონაწილეობდა, ამ კითხვას პასუხობდა - მიხარია რომ ბეატრის სტერკმა დაიწყო და განაზოგადა თავისი დიდი გამოცდილების შესაბამისად ეს მსჯელობა და შემდეგ ქართულმა ტექსტილის მხატვრებმა განაგრძეს ეს დისკუსია.

მე პირადად, სამხატვრო აკადემიის სტუდენტობის პერიოდიდან მუდმივად ამ ზღვარზე ვფიქრობდი, ხელოსნობასა და ხელოვნებას შორის, რაც თავისთავად ტექსტილს როგორც მედიუმს თან დაყვება. სტუდენტობის დროს აღმოჩნდა რომ საფეიქრო ინდუსტრიისთვის მხატვარ-ტექნოლოგის პროფესიას დავუფლებოდით, რომ პრაქტიკას მრავალ ფაბრიკასა და ქარხანაში გავივლიდით და მიჩნდებოდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ უკან მომრჩებოდა საგამოყენო ასპარეზი! ჩემი შემოქმედება თანდათან მინელდა და ტექნოლოგიის ლექციებიც კი საინტერესოდ მეჩვენებოდა. ზოგადად კი ჩემი დაკვირვებითა და გამოცდილებით, უნდა ავლნიშნო, რომ ეს კითხვა თუ რამდენად არის ტექსტილი ხელოვნება, ყოველთვის შეიძლება დაისვას თუმცა ვფიქრობ ხშირ შემთხვევაში ტექსტილის ნამუშევარი ხელოვნებაა.

ნ.კ.

თუკი უფრო ადრეულ ეტაპს გავიხსენებთ, თქვენ ხართ იმ თაობის წარმომადგენელი, რომელიც საკმაოდ სრულყოფილ ტექნიკურ ცოდნას ფლობს ტექსტილის შესახებ. დაასრულეთ საბჭოთა პერიოდში სამხატვრო აკადემია. გაგვიზიარეთ სწავლების პროცესი და სამხატვრო აკადემიაში ყოფნის გამოცდილება.

აკადემიაში მესამე მცდელობაზე ჩავირიცხე. უკვე ძალიან მომზადებული და ომგამოვლილი გახლდით იოლად რომ არ დავნებდებოდი იმ სასწავლო პროგრამას. რამდენიმე საგანი (ეთიკა, ესთეტიკა, კოსტუმების ისტორია, ფერმცოდნეობა, მასალათმცოდნეობა, მხაზველობითი გეომეტრია) რომელიც გვეკითხებოდა, (ხატვის, ფერწერის, კომპოზიციის, სპეც კომპოზიციის გარდა) საინტერესო იყო მეცნიერული კომუნიზმისა და სსრკ ისტორიის პარალელურად. მნიშვნელოვანია, რომ სწავლება ინტეგრირებული იყო მოდის დიზაინთან, ინტერიერის დიზაინთან, გვიკითხავდნენ ხელოვნების თეორიას და მოდის ისტორიას. მეხუთე წელს, მომეცა პრივილეგია რომ ორი ნაშრომით, ინდუსტრიული ხალიჩითა და ხელით ნაქსოვი გობელენით დამესრულებინა ჩემი განათლება აკადემიაში. ხალიჩურ ნამუშევარში ვცადე ტრადიციული ქართული ორნამენტის მხატვრული გადააზრება, რომელიც ძალიან გეომეტრიული იყო და ამავდროულად ხალიჩის ყველა თვისობრივობას ატარებდა, ტექნიკური ნახაზი და ფერადოვნება, საქსოვი დაზგის ცოდნასა და ყვე-

ლა პარამეტრის გათვლას მოითხოვდა, ამ პროცესში დავრწმუნდი რომ ნამდვილად მხატვარ-ტექნოლოგი გახლდით!

გობელენი, Pink Floyd -ის Dark Side of The Moon თემაზე იყო შექმნილი, ცხადია, სულ სხვა სახელით დავიცავი წარმატებულად, მოგვიანებით ეს გობელენი გაქრა აკადემიიდან! ამ სანყისი ნამუშევრებით, როგორც ტექნოლოგმა, ასევე, როგორც მხატვარმა, დავადასტურე, რომ ეს სინთეზი შედგა! დაზგის მუშაობის პრინციპი თითქმის საინჟინრო დონეზე, ხლართებისა და ძაფების გადაადგილების შესახებ, იმაზე უფრო საინტერესო აღმოჩნდა ვიდრე წარმოდგენა შეიძლება ქონდეს მხატვარს. აქვე აღვნიშნავ, ბევრი ხარვეზის მიუხედავად აკადემიაში სწავლა ჩემთვის იყო მნიშვნელოვანი ეტაპი, რომელიც თურმე ჯერ არ მთავრდებოდა.

საგამოფენო ცხოვრება დავიწყე როგორც მხატვარმა. საგაზაფხულო გამოფენაზე ნამუშევრების მიტანაც ვერ მოვასწარი, რომ უკვე გურზუფში გავემგზავრე შემოქმედებით ბანაკში. მთელი საბჭოეთიდან თითო რესპუბლიკის ორი წარმომადგენელი ვიყავით და პირველი გამოცდილება იყო, როდესაც მხატვართა მრავალეროვან გუნდს შევეერთდი. ბევრი სასიამოვნო მოგონება და ახალი შეფასებები მახარებდა. დავუმეგობრდო ახალგაზრდა და ძალიან საინტერესო მხატვრებს ბალტიიდან. ძალიან ბევრს ვმუშაობდით პლენერზე, აკვარელის ტექნიკას იქ გავუგე გემო, აპრილის ბოლოს თითქმის მხოლოდ ამ ტექნიკაში ვხედავდი ყველა ობიექტს. სულ მალე ჩერნობილის ატომური რეაქტორი აფეთქდა და ამ ჩვენს გალაღებულ ცხოვრებას ბოლო მოეღო.


შემდეგ ქალბატონი მედია ჩიხლაძის რეკომენდაციით ბატონი გივი ყანდარელის დაარსებულ შემოქმედებით სახელოსნოში მიმინვიეს სამ ყოფილ კურსდამთავრებულთან ერთად. სამხატვრო აკადემიას დაქვემდებარებული ეს სივრცე ჩემთვის ნაცნობი იყო. აქ თითქმის მთელმა კურსმა მოვქსოვეთ ჩვენი სადიპლომო ნამუშევრები. შენობა შარდენის ქუჩაზე მდებარეობდა. ამ სივრცის მეორე სართული გადაეცა გ.ყანდარელს შემოქმედებითი სახელოსნოს დასაარსებლად, რომელიც ასპირანტურის ტოლფასი ინსტიტუცია შეიძლებოდა გამხდარიყო. ეს იყო შანსი მემუშავა ასეთ დიდ მხატვართან შემოქმედებით სახელოსნოში. აქ მოვქსოვე ჩემი გობელენი „ყელის ტბა“, რომელიც ახლა ჩემი შვილის ხნის არის :)

მალე, როცა ჩვენი შექმნილი გობელენები ბელგიაში, ქალაქ ტურნეში, ტექსტილის საერთაშორისო გამოფენაზე სახელოსნოებით „სხვა ევროპა“ გავაგზავნეთ შემოქმედებითი სახელოსნო დავტოვეთ ამ გამოფენის ოთხმა მონაწილემ. გამოფენას ბელგიაში წარადგენდა ჩვენს მიერვე არჩეული ხელოვნებათმცოდნე და ტექსტილის მხატვარი ნინო ყიფშიძე, რომელიც ასევე გამოფენის მონაწილე იყო.

ა.შ.

ტექსტილის ტრადიციული მიმართულების ნაცვლად უფრო ექსპერიმენტულად განავითარეთ თქვენი შემოქმედება. პირველი ნამუშევრებისა და ექსპერიმენტების შესახებ რომ გვესაუბროთ.

შთაგონების წყარო ხშირად იყო ჩემი ყოველდღიურობა, საცხოვრებელი გარემო და ამასთანავე მუდმივი ინტერესი





იმის შესახებ თუ რა ხდება მსოფლიოში. ეს საერთაშორისო მიმოცვლები უკავშირდება GTG ქართული ტექსტილის ჯგუფს, რომელიც 1993-94 წლებში ნინო ყიფშიძესთან და ნინო ჩაჩხიანთან ერთად დავაარსეთ. ზოგადად ეს იყო ძალიან რთული პერიოდი საერთაშორისო ასპარეზზე გასასვლელად, თუმცა უკვე გაერთიანებული ვიყავით გარკვეული ჯგუფი – თანამოაზრეთა გუნდი, რომლებიც ნიადაგს ვამზადებდით, რომ ერთობლივად გვემუშავა. ვიკირბებოდით ნინო ყიფშიძესთან, სადაც დავაფუძნეთ აღნიშნული ჯგუფი და უკვე არაფორმალურად და საერთაშორისო ასპარეზით ვავითარებდით, როგორც საკუთარ ხელოვნებას, ვმონაწილეობდით სხვადასხვა ქვეყნებში ტექსტილის გამოფენებში, შეძლების ფარგლებში მონაწილეობას ვიღებდით ETN-ის მიერ გამართულ კონფერენციებზე. ასევე ვინვევდით საერთაშორისო არტისტებს და პროფესიონალებს, ვაორგანიზებდით ვორქშოფებს. მალე დღის წესრიგში დადგა საკუთარი სამუშაო სივრცე მოგვეძებნა სადაც შეგვეძლო ჩვენც ჩავგვეტარებინა მასტერკლასები, მიგველო უცხოელი სტუმრები.

ჩემი პროფესიული მხატვრული ექსპერიმენტებიც GTG ჯგუფის აქტიური საქმიანობის პერიოდში ვითარდება. მაგალითად ერთ-ერთი პირველი სიმპოზიუმის დროს გ.ნადირაძის პერფორმანსში გამოვიყენე შედეგილი აბრეშუმისა და პარაშუტის ქსოვილები. შემდეგი დიდი ნამუშევარი ლოქში უნდა გამეგზავნა მიწვეული ვიყავი როგორც საქართველოს წარ-

მომადგენელი, დრო ძალიან ცოტა მქონდა, მაგრამ რამდენიმე ღამის გათენების შემდეგ უშველებელი პანო გავაკეთე ამ პარაშუტის ქსოვილით. დასაინსტალირებლად ნახაზიც კი გავამზდე როგორ უნდა გამოეფინათ! ამას მოყვა რიგის საერთაშორისო გამოფენა-კონკურსი და აქაც ჯერ კიდევ ამოუნურავი იყო ჩემი ინტერესი ამ ქსოვილთან და სტრუქტურასთან დაკავშირებით, თან უკვე ძალიან შთაგონებით ვღებავდი, რასაც მოვისურვებდი იმ ფრად, კეცვით, შეკვრით არ მკითხოთ საღებავები საიდანო, ისიც დაშლილი სანარმოებიდან გამოჰქონდათ! მოკლედ მთავარი იყო მოგენდომები და რას არ მოიპოვებდი, ელექტროენერჯის და ნორმალური ყოფის გარდა!

ამ პერიოდში იმდენად გავერთე პარაშუტებით, რომ ერთ დღესაც ბაზელში რეზიდენციაში მომინდა წასვლა, გიგა და გურამ ნიბახები დაგვეხმარნენ მე და ჩემს შვილს და ამ სესი-

ის შემდეგ მაგარი საპრეზენტაციო მასალაც მქონდა ხელთ! ნანა ყიფიანის დახმარებით ჩემი მასალები გადავაგზავნეთ ბაზელში, მოგვიანებით, როცა აღარ ველოდი, შევითქვე, რომ იანვრიდან მიწვეული ვიყავი 6 თვით! ვაშა! ასეთი იყო პარაშუტის პერიოდი, რომელიც ფრაიბურგში რეზიდენციის შემაჯამებელი გამოფენითა და პერფორმანსით დავასრულე.

6.3.

საცხოვრებელი გარემო და შთაგონება - ამ თემასაც მინდა შევეხოთ. თქვენი ყოველდღიურობა იმ უბანთანაა დაკავშირებული, რომელიც ნებისმიერი ხელოვანისთვის „სამოთხეა“. ელიავა - ყველაზე დიდი ღია კონსტრუქციის მარკეტი თბილისში, სადაც უამრავი მასალა მოიპოვება. თქვენთვის როგორც „იდების გენერატორისთვის“ ეს იყო დიდი შთაგონება. ელიავას პროექტის შესახებ რომ მოგვიყვებო.

ისე მოხდა, რომ მტკვრის მარცხენა სანაპიროსთან მდებარე მონაკვეთი, რომელიც პურის, შოკოლადისა და რძის სუნით იყო გაჯერებული, საბჭოთა კავშირის რღვევის პარალელურად შეიცვალა, მყუდრო სამხატვრო სახელოსნოები სადაც საცხოვრებლადაც გადავედი, დიდი ორთმტრიალის, გაჭირვების დროს ხელსაწყოების, ნედლეულისა და ათასგვარი ნივთის პოვნის ეპიცენტრად, „ელიავას ბაზრობად“ იქცა. რთული პერიოდი დანყო, ენერგოკრიზისი! ეკონომიკა სრულიად განადგურდა, იშლებოდა და ირღვეოდა დიდი სისტემა და ხალხი ყიდდა რაც კი ებადათ, ოღონდ კი გადარჩენილიყვნენ თავსდამტყდარი პრობლემებისგან. გამოჩნდა მანამდე გაყიდვაში არარსებული ნივთები, მოულოდნელად შეიძლება გადაწყვიტოდი რულონებს, ალუმინის შემცველ ქაღალდებს, უცნაურ მასალებს, რომლითაც სანარმოებს ამარაგებდნენ და მსგავს პროდუქციას მაღაზიაში ვერ მიაგნებდი.

ასე წავაწყდი ცემენტის პარკებს - მრავალშრიანი სქელი მუქი მოყავისფრო-ხაკისფერი მეტრიანი ქაღალდები ურიცხვი ფენით, შიდა ფენები ტონირებული არ იყო და ჩვეულებრივი საბჭოური მუყაოს ფერისა გახლდათ, ეს იყო ახალი გამონვევა ნამდვილი სიხარული. აქ უკვე სტრუქტურებს ვაკეთებდი, თან საჩრდილობელი გამომდიოდა ფანჯრებისთვის - ნახევრად გამჭვირვალე. სწორედ ეს ქაღალდები მადგებოდა


ბაზელ-ფრაიბურგის რეზიდენციაშიც კი როცა ჩემი აბრეშუმის ქაღალდებს სპეციალური დიზაინის კონვერტებს ვუმზადებდი.

ა.შ.

დღეს მართავთ აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმს. როგორია ეს პროფესიული განვითარების გზა და ხელოვანი დირექტორის პოზიცია?

აბრეშუმის მუზეუმის აღმოჩენა ჩვენთვის და ამ მუზეუმთან პირველი შეხება 1994 წელს მოხდა GTG ტექსტილის ჯგუფის თაოსნობით. დავინყეთ ამ ორგანიზაციაზე ზრუნვა, საერთაშორისო სიმპოზიუმების ორგანიზება, ჯერ კიდევ ქალბატონი ირინა ჭოტორლიშვილის დახმარებით, ვინც გამორჩეული პროფესიონალიზმით და სიყვარულით ხელმძღვანელობდა წლების მანძილზე მუზეუმს. შემდეგ სალომე ცისკარიშვილი, მკვლევარი, ხელოვნებათმცოდნე ხელმძღვანელობდა მუზეუმს და ამ პერიოდში მე მასთან ერთად ვმუშაობდი და უფრო საექსპოზიციო, საგანმანათლებლო და საგამოფენო პროცესებს ვავითარებდი. მიმანია, რომ ჩემი შემოქმედებითი ინტერესები ბუნებრივად გაგრძელდა მუზეუმში და დღემდე არ ვუყურებ არასდროს ფორმალურად დირექტორის პოზიციიდან, რომელიც 2015 წლიდან ჩემი საქმიანობის და ყოველდღიურობის განმსაზღვრელი ნაწილია. ახლაც, როდესაც მუზეუმში სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს და აქტიურად ვმუშაობ მუზეუმის, როგორც ინსტიტუციის რეაბილიტაციის შემდგომ კონცეფციასა და ექსპოზიციის განახლებაზე, განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევ დაშლილ შრეებს, დეტალებს, რომელიც მომავლის ხედვაში შეიძლება გამოგვადგეს. ის, რომ ვარ მხატვარი უპირველესად არის ბუნებრივი მდგომარეობა, რომელიც მეხმარება განსხვავებული რაკურსით შევხედო საგნებს, ადამიანებს და მათ შორის ისეთ საპასუხისმგებლო საქმეს, როგორც აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმის სამომავლო ხედვა-გადააზრებაა.

მარიამ, იმედი მაქვს, უფრო ვრცლად აბრეშუმის მუზეუმის შესახებ ზეგავლენას შემდეგ გამოცემებში გავაშუქებთ, როცა სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ დაწყებულ საინაუგურაციო მზადების პროცესში ვიქნებით და მუზეუმის წამყვან მიმართულებებსა და მათ ლიდერებზე-კურატორებზე ვისაუბრებთ.



CHUKA



INTERVIEW WITH NINO KUPRAVA

State Silk Museum Director,
Textile Artist
Co-founder of the Georgian Textile Group GTG

An artist whose creativity and unconventional approach are a constant source of inspiration – I am delighted to present **NINO CHUKA KUPRAVA** to our readers.

Mariam Shergelashvili

Our long-standing collaboration and friendship have been a treasure trove of memorable ideas, some that we have developed together and others that Nino has shared as captivating tales. My own passion for textiles, deeply influenced by our interaction at the Silk Museum, blossomed from this connection. I recall how Nino's initiative sparked a series of thought-provoking lectures titled "Is Textile Art?" at the museum. These gatherings, which drew many fascinating contributors, not only fueled our discussions but also paved the way for future partnerships. Reflecting on these experiences, I am compelled to revisit the intriguing debate we engaged in and share Nino's perspective on the ambiguous relationship between textiles and art. How has your artistic journey shaped your response to this intriguing question?

Nino Kuprava

Thank you, Mariam, for such an introduction. It is heartening to know that the discussion we had was enriched by the perspectives of various participants, initiated by the esteemed Beatrijs Sterk with her extensive experience, and furthered by the contributions of Georgian textile artists.

On a personal note, my contemplation of the fine line between craft and art, particularly where textiles are a medium, dates back to my days at the Academy of Arts. As a student, I was prepared for a career as an artist-technologist within the textile industry, complete with practical training in numerous factories. I must admit, the prospect made me anxious about my future involvement in the exhibition space. However, over time, that anxiety waned, and I even found the technology lectures to be engaging. From what I've observed and experienced, the debate over whether textiles can be considered art persists,

though I have come to believe that textile creations are often works of art in their own right.

Mariam Shergelashvili

Reflecting on an earlier chapter, you stand among a generation endowed with a comprehensive technical understanding of textiles, having graduated from the Academy of Arts during the Soviet era. I would be interested to hear about the educational process you experienced and what it was like to be part of the Academy at that time.

Nino Kuprava

Gaining admission to the academy on my third attempt, I might have abandoned the program had I not been thoroughly prepared and experienced already. The curriculum was diverse, offering courses like ethics, aesthetics, costume history, color theory, and material science, alongside linear geometry – all equally engaging as the mandatory drawing, painting, composition, and special composition classes. These subjects were taught in conjunction with more politically driven courses like scientific communism and USSR history. The education was comprehensive, integrating elements of fashion design and interior furnishing, and included lessons in art theory and fashion history. In my final year, I had the honor of concluding my studies with two projects: an industrial carpet and a handwoven tapestry. The carpet allowed me to artistically reinterpret traditional Georgian ornamentation, which required not just creative insight but also technical expertise in drawing, coloring, loom weaving, and precise parameter calculations.

The tapestry, inspired by Pink Floyd's "Dark Side of the Moon," was defended under a different guise and,

Borchalo is located in the Marneuli region of Kvemo Kartli and is characterized by certain stylistic features, weaving techniques and ornamental decor. According to the Georgian historical sources the settlement of a Muslim population on Georgian territory started in the first half of the 15th century.

The type of rugs with the names Borchalo, Karayaz, Fahrao, Karachop widely used in the modern references about the carpets, recognized and very popular between the amateurs of carpets were weaved by the muslim azerbaijani population lived in the South Georgia. Borchalo is the old name of the modern administrative center Marneuli. It derives from the nomad Turkmen tribe, who used to live in the Persian Azerbaijan - Sulduz region, they were very brave and great warriors who were settled on these places by the Persian Shah Abbas I (1588-1629).

In spite of living in Georgia for centuries, these people retained a nomadic lifestyle almost up to the 20th century. Their home economy was also quite specific: they were involved in rice growing and cotton and silk processing. In addition to the above, they continued to follow their homeland tradition of weaving rugs. The places where these tribes came from were strong centers of the rug-weaving industry and are close to such regions as Tabriz, Serab, Ardebil, Karadagh, Senne, and Bijar. Therefore, the Borchalo tribes, without any doubt, brought their artistic principles, symbols and weaving techniques from their homeland.



Top - Hunting, kilim, Kakheti
 Down - Abessalom and Etery, kilim, Kakheti
 Left and Right - Kilims with lions Fragments



დეტალურად პროექტისა და საუბრის შესახებ გაეცანით
აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმის ბლოგოსტს

For the detailed information read the State Silk Museum's blogpost

<https://shorturl.at/PW256>



ტექსტი არის ონლაინ პროგრამის „რას გვიყვება ქსოვილი?“ ფარგლებში წარმოდგენილი მოხსენების ადაპტირებული ვერსია, რომელიც 2021 წელს განხორციელდა აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმის მიერ CEC ArtsLink-ის პროგრამა Art Prospect-ის გრანტის ფარგლებში. ტექსტი თავდაპირველი ფორმით გამოქვეყნდა მუზეუმის ბლოგზე.

ქსოვილის სახეები

არქექტიპები
და ხალხური
მეხსიერება

საქართველოში ქსოვილის წარმოებას უძველესი დროიდან მისდევდნენ. შესაბამისად, საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა როგორც ქსოვილის დამზადების და დამუშავების ტექნოლოგიები, ისე მათი ორნამენტული გაფორმების მეთოდები და ტიპური სახეები.

ქალებისთვის ხელსაქმეში დაოსტატება ბავშვობიდან მატყლის, სელის, კანაფის თუ აბრეშუმის დამუშავებითა და სამზითვე ქსოვილების დამზადებით იწყებოდა. სამზითვე დანიშნულება ხშირად განსაზღვრავდა კიდევ ქსოვილების მორთულობის მოტივებს, რომელიც თავის მხრივ, გამრავლების, ნაყოფიერების და ოჯახის კეთილდღეობის თემას უკავშირდებოდა.

ანა შანშიაშვილი

ქსოვილების სახეების მიღმა არსებულ სიმბოლურ კონტექსტზე მსჯელობის საფუძველს გეპირსიტყვიერ ტრადიციებში შემონახული რწმენა-წარმოდგენები და სხვადასხვა დარგებიდან მოხმობილი პარალელები გვაძლევს. მათი ფესვები ხშირად ბრინჯაოს და კიდევ უფრო ადრეული ხანის არტეფაქტებშია საძიებელი.

ნაყოფიერების არქაულ კულტთან დაკავშირებულ ერთ-ერთ ძალზე გავრცელებულ სახეს წარმოადგენს სიცოცხლის ხე, რომელიც ხალიჩა-ფარდაგებში, დაჩითულ ლურჯ სუფრებში თუ ნაქარგობის ნიმუშებში უმეტესად მარადმწვანე კვიპაროსის სტილიზებული მოტივის ე.წ. „მანის“, გატოტვილი ხის ან ვაზის სახით წარმოგვიდგება. მარადმწვანე მცენარის ნაყოფი – გირჩი, როგორც მარადიული სიცოცხლის სიმბოლო, ასევე ხშირად ჩნდება ქსოვილების გაფორმებაში.

სიცოცხლის ხე – ზეცის, მიწისა და ქვესკნელის გამაერთიანებელ სამყაროს ღერძი, ერთი მხრივ, მსოფლიოში გავრცელებული, თუმცა ამაღვროულად ძლიერად ფესვგადგმული ადგილობრივი არქეტიპია. მოგვიანებით ქრისტიანულ ხელოვნებაში, სიცოცხლის ხის ექვივალენტი სახე ვაზი, ხოლო მისი ნაყოფის მკვნიკავი ჩიტები თუ ირმები, ზიარების სიმბოლური გამოხატულება ხდება.

ქსოვილებში სიცოცხლის ხის გაშლილ ტოტებს ხშირად დეკორატიული ვარდული ცვლის, რომელიც ისევე როგორც ბორჯღალი, სპირალი, სვასტიკა თუ კონცენტრული წრეები ცხოველმყოფელი ციური სხეულის – მზის უნივერსალურ სიმბოლოს უკავშირდება.

სოლარულ კულტთანვე ასოცირდება ქართული ქსოვილების კიდევ ერთი პოპულარული სახე – ლომი, რომელიც მრისხანე მცველის ფუნქციით ხშირად გვხვდება სიცოცხლის ხესთან ჯაჭვით დაბმული. ამ მოტივს ვხვდებით ლურჯი სუფრის ორნამენტულაში, რასაც თავის მხრივ პარალელი მოეპოვება ანანურის ტაძრის სამხრეთ ფასადის ცნობილი რელიეფის სახით.

ხალხური რწმენა-წარმოდგენებით, სიცოცხლის ხის არქეტიპთანაა ასოცირებული სხვა ზომორთული სახეებიც – მაგალითად, ხის



აჭარული დაროშკა, ნეფე პატარძლის გამოსახულებით ქემალ თურმანიძის ეთნოგრაფიული მუზეუმში ბორჯღალო, ბათუმი

გაშლილი ტოტებში ფრინველები, ღეროსთან ჩლიქოსნები (ირმები, ცხენები, და ა.შ.), ხოლო ფესვებთან: თევზები, გველები და სხვა ხტონური არსებები ბინადრობენ.

ამავდროულად, ხალიჩა-ფარდაგების, ლურჯი დაჩითული სუფრებისა და ხალხური ნაქარგობებისთვის (მაგ. აჭარული „დაროშკების“) დამახასიათებელია ჩიტების, მამალების, ფარშევანგების გამოსახულებები. როგორც სამყაროს ღერძის უმაღლეს წერტილში მობინადრე არსება, ფრინველი, სააქოსა და საიქოს დამაკავ-



ფარდაგი ირმების წყვილის გამოსახულებით




შირეხელი მედიატორია, მაშინ როდესაც უკვდავების, მარადიულობის სიმბოლოა ფარშევანგი (ფანკუნჯი, ფენიქსი), რომელიც გაზაფხულობით ბუმბულს იახლებს, ხოლო მისი გაშლილი კუდი სიცოცხლის ხესთან გაიგივებული მოტივია.

სხვადასხვა სკნელთა შემავაჟირებელ ფუნქციას ასრულებს ქსოვილების ორნამენტიკის და ზოგადად ქართულ ხელოვნებაში ალბათ ყველაზე პოპულარული ზომორფული არქტიპი – ირემიც, რომელიც თავისი გატოტვილი რქებით სიცოცხლის ხის ექვივალენტი სახეა. ეს განსაკუთრებით თვალნათლივ ჩანს ქართული ზღაპრებიდან, სადაც ხშირია ირმის სახე, რომელსაც რქებით ცის კაბადონი უჭირავს. საინტერესოა, რომ ლურჯ სუფრებზე ირემების სხეულზე მოცემული ასტრალური ნიშნები პირდაპირ ასოცირდება ბრინჯაოს ხანის ცულების, სარტყლებისა და ბალთების პირველსახებთან.


როგორც წყალთან დაკავშირებული სახე, ნაყოფიერების და გამრავლების თემას უშუალოდ უკავშირდება თევზის არქტიპი, რომელიც მოგვიანებით როგორც ქრისტეს სიმბოლო, ზიარებასთან ასოცირებული მოტივი ხდება. ამავე ევქარისტული კონტექსტით უნდა ხდებოდეს ჭვარდასმული თევზების მოტივების გამოსახვა ლურჯ სუფრაზე.

ცნობილია, რომ ზომორფული ხალიჩა-ფარდაგების უმეტესობა ე.წ. საპნის (შესაფუთი ილუსტრაციებით) ორნამენტებით სარგებლობს, თუმცა ამ სახეების განსაკუთრებული პოპულარობა კოლექტიურ მესხიერებაში ათასწლეულების განმავლობაში დაშრევებულ არქტიპებთან თანხვედრას უნდა გამოეწვია. ამ მხრივ საინტერესოა ხალხურ ხელოვნებაში საბჭოთა ვარსკვლავისა და ნამგალისა და უროს მოტივის განსაკუთრებული გავრცელება. თუკი გავითვალისწინებთ, რომ ვარსკვლავი – ასტრალურ სიმბოლოთა რიგშია,



ხოლო ნამგალი და ურო – შრომის იარაღებია, რომლებიც თავის მხრივ, საახალწლო ბასილას/ბედის პურების (სხვადასხვა ფორმის სარიტუალო კვებების) მწკრივის ნაწილია, მათი ამგვარი პოპულარობაც (ნაქარგობა, ჭვირული აივნები) არ ჩანს გასაკვირი.

საქართველოში ქსოვილების მორთულობასა და ხალხური ხელოვნების სხვა დარგებში (ხეზე კვეთილი ორნამენტი, ჭვირული აივნები, ვერამიკული თუ ვერცხლის ჭურჭელი, საფლავის ქვების მორთულობა და ა.შ.) გავრცელებული მოტივების სიცოცხლისუნარიანობა, ისევე როგორც დღემდე თვითნასწავლი მხატვრებისა და ოსტატების შემოქმედებაში ამ სახეთა უწყვეტი პოპულარობა, ინტუიტიური ვავშირები სიძლიერებე და არექტიპული ხალხური მესხიერების მრავალპლასტიან ერთიანობაზე უნდა მეტყველებდეს.



Textile PATTERNS:

Archetypes
and Folk
Memory

**Ana
Shanshiashvili**



The text is an adapted version of a lecture made in the framework of the online program "What Is Textile Telling Us?" by the State Silk Museum through a grant from CEC ArtsLink's Art Prospect program in 2021. The text was originally published at the state silk museum's blog.

Textile making has a long history in Georgia, reflected in the diversity of different handicraft techniques, abundance of designs and wide range of typical imagery.

Being a common occupation for household women, young girls started mastering their handicrafts skills from the very childhood by processing wool, linen, hemp or silk for their dowry textiles. Marital function often determined the content behind the textile motifs, which in turn seem to relate to the ancient cult of fertility and hence, the idea of wealth and family well-being.

Local fairy tales and beliefs, as well as common imagery constantly reoccurring across different fields of folk art, allow us to put forward some suggestions on the possible symbolic content behind the imagery. Quite often, their roots can be traced back to the Bronze Age or earlier artifacts.

Amongst the common motives is the tree of life, which seems to be resonating with the archaic cult of fertility. In rugs and carpets, block printed blue tablecloths or embroideries, the tree is represented by a. a pattern generally known as boteh, or buta, called "mani" in Georgian, (due to the resemblance in the shape with the grapheme M of Georgia alphabet), which is a stylized motif of an evergreen cypress, b. a blooming tree, or c. a vine. As a symbol of eternal life, the pinecone being a fruit of evergreen also often appears with the same connotations in textile design.



As an embodiment of the axis mundi, linking heaven, earth, and underworld, the tree of life is a universal symbol worldwide, however at same time it seems to be among the most widespread and deep-rooted local archetypes. Later in medieval period, due to its Christian symbolism vine tree became a counterpart of the "axis mundi", while the motive of the birds or deer pecking its fruits became a representation of the soul of the Christian longing for salvation through Eucharist.

In textiles, the wide spreading branches of the tree of life are often replaced by a decorative rosette, which similarly to swirl, spiral, swastika, or concentric circle, is meant to be a symbol of a life-giving celestial body, the sun.

Another popular motive of Georgian textiles with the same solar symbolism is a lion, which often appears as a ferocious guardian of Garden of Eden chained to the tree of life. We come across this motif among the patterns of the blue tablecloth, which has a closest parallel in the famous stone-carved relief on the southern facade of the Ananuri church of the Virgin (1689 AD).

According to the folk beliefs, other zoomorphic images are also closely linked with the archetype of the tree of life: i.e., birds are supposed to reside on its top in the branches, whereas ungulates (deers, horses, etc.) live by the stem and fish, snakes, and other chthonic creatures inhabit the underworld nearby its roots.

The typical textile motives are birds, roosters, and peacocks, which are often found at in rug and carpet, blue tablecloths, and needlework designs (for example, the so-called "Daroshkas" typical to Adjarian region). Residing at the top of the tree the bird is considered as a mediator between this world and heaven. A peacock (similarly to a phoenix) that renews its feathers every spring is a symbol of rebirth and eternity, while the beauty of its spread tail is associated with the blossoming part of the axis mundi.

Amongst the abundance of zoomorphic motives, the stag/deer is perhaps the most popular archetype typical for textiles and generally, for many different fields of Georgian folk art and craft. The wide antlers of a stag act as the equivalent symbols to the blossoming branches of the tree of life, which bridges two different worlds: the "lower" and the "upper". Deductions may be made from examples we have in local lore and fairy tales, where we come across the image of a stag





holding firmament with its giant antlers. This archetype of the stag association with the celestial symbolism reoccurs in the 19th century in particular among the blue tablecloths pattern, where the body of this animal is marked with astral signs. The origins of this motive can be traced back to the ancient zoomorphic imagery on Bronze Age axes, belts and openwork buckles found among the archaeological artifacts on the territory of Georgia and south Caucasus.

As an aquatic creature, a fish is another symbol directly associated with the life-giving power of water and therefore with the idea of fertility and generative power. Later, as a symbol of Christ, it became a motif related with the Eucharist. Depiction of the fish images on the table accessories, and especially the motive of cross-marked fish found amongst the blue tablecloth patterns and silver tableware motives, makes the Christian connotation of this symbol even more exposed to the spectators.

At the beginning of the 20th century, the integration of zoomorphic images in rug and carpet design was further stimulated by the spread of imported soap package ornaments with attached zoomorphic illustrations. The special popularity of the stag, lion and rooster images however, was most probably determined by their coincidence with indigenous traditions and visual archetypes accumulated in the

collective multi-layered memory shaped throughout millennia. The integration and spreading of the Soviet symbols such as the five-pointed star, together with the hammer and sickle in the folk art, embroidery and especially in openwork wooden balcony patterns, could serve as another vivid example of the overlapping symbolism of images. A star being a celestial body, might fall in line with deep-rooted astral symbols, while a hammer and a sickle being agricultural tools, might resonate with the tradition of St. Basil's ritual bread-men or fortune bread baking traditions, as part of the New Year celebration ceremonies. We know that among other zoomorphic figures, agricultural tool-shaped breads were baked to bring more luck, harvest and wealth to the families. If we bear in mind the particular background, the wide popularity and integration of the particular Soviet symbols in line with ancient archetypes is not to be wondered.

The constant recurrence of the typical zoomorphic imagery in the design of textiles and other fields of art and crafts i.e. woodcarving, openwork balconies, ceramic or silver tableware, gravestones decoration, etc., as well as the continues popularity of these images among self-taught artists and artisans until today, speaks to the livelihood of strong indigenous traditions and the multilayered unity of archetypal thinking deep rooted in the sub-consciousness of collective memory.



ტექსტილი და პოლიტიკა

მაია შიყვაშვილი

ტექსტი არის ონლაინ ლექციის ადაპტირებული ვერსია „ტექსტილი და პოლიტიკა“, რომელიც ორგანიზებულია Underground University-ის მიერ აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმთან და კურატორ დათა ჭილაშვილთან თანამშრომლობით.

ტექსტილი - ხელშესახები, სენსუალური, ერთ-ერთი ყველაზე არქექტიპული და ადამიანის ხელით შექმნილი ფენომენია. საუკუნეების განმავლობაში ტექსტილი ყალიბდებოდა, როგორც დეკორატიული და გამოყენებითი ხელოვნების სფერო. საქართველოში ქსოვილის წარმოებას უნიკალური ისტორია აქვს. თუმცა, ჩემს ბოლო ბლოგში მსურს გავაანალიზო ზოგიერთი სახელოვნებო პროექტი, რომელიც ტექსტილს კონცეპტუალური მიმართულებით იაზრებს. როგორ შეუძლია ტექსტილს ისაუბროს ისტორიულ პერსპექტივაზე და როგორ შეიძლება ჰქონდეს მას სოციო-კულტურული განზომილება?



ნინო ქვრივიშვილი საბჭოთა ცისარტყელა მალაზიიდან მუზეუმამდე

ნინო ქვრივიშვილი, საქართველოში მოღვაწე ვიზუალური მხატვარი, იკვლევს საბჭოთა ტექსტილის თემას, როგორც საქართველოს ისტორიის უახლესი წარსულის მატერიალიზებულ ნიმუშსა და ასევე, ძველი თაობის კოლექტიურ მემსიერებაში შემორჩენილ ესთეტიკურ ფენომენს. ნინო ქვრივიშვილი 2016 წელს აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმში სახელოვნებო ინტერვენციის პროექტის ფარგლებში მუშაობდა საბჭოთა პერიოდის ტექსტილის კვლევაზე. იგი განსაკუთრებით შთაბეჭდილი იყო მუზეუმის ტექსტილის კოლექციაში დაცული საბჭოთა სამრეწველო ქსოვილებით, რომლებიც XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს არის შექმნილი. იმ დროს ქვრივიშვილმა მოიპოვა ქსოვილების ნიმუშები, რომლებიც „ცისარტყელაში“, საბჭოთა თბილისში ცნობილი ტექსტილის მალაზიაში, იყიდებოდა. საინტერესოა, რომ თუ გადავხედავთ ინდუსტრიულად წარმოებულ საბჭოთა ტექსტილის ნიმუშებს, ადვილად ვიპოვით მუზეუმში დაცულ ქსოვილებსა და მალაზიის ნიმუშებს შორის ვიზუალურ მსგავსებებს ფერის პალიტრასა და აბსტრაქტულ-გეომეტრიული კომბინაციებში, რაც გვიან საბჭოთა კავშირის ესთეტიკით და დიზაინითაა ნაკარნახევი. დროსთან ხელშესახები კავშირი ხაზგასმული იყო ნინო ქვრივიშვილის კვლევაში. იმდროინდელ პროდუქციაზე ქვრივიშვილის მხატვრული პასუხი გარკვეულწილად ნოსტალგიურ მემსიერებას აღვიძებდა, განსაკუთრებით იმ ვიზიტორებისთვის, რომელთა ყოველ-

დღიური წარსული რეალურად დაკავშირებული იყო ამ ქსოვილებთან. ნინო ქვრივიშვილმა თავის კვლევაში ტექსტილი არა მხოლოდ მატერიალურ პროდუქტად წარმოაჩინა, არამედ როგორც კოლექტიური მემსიერების სიმბოლო, რომლის ხელახალ ინტერპრეტაციას შეეცადა. ხელოვანმა ეს საკითხი დააკავშირა ქალაქის ურბანულ ტრანსფორმაციასთან. ქვრივიშვილმა ზუსტად დაადგინა ის ადგილები, სადაც ადრე იყო ტექსტილის მალაზიები და იქვე წარმოადგინა თავისი საგამოფენო პლაკატები, როგორც სიმბოლური ნიშანი, რათა მნახველს თავად ადგილის ისტორია გაეხსენებინა. ეს ბანერები ერთგვარად ხაზს უსვამდა უყურადღებო დამოკიდებულებას ჩვენი ახლო წარსულის მიმართ, რომელიც ჩვეულებრივ განადგურებული ან დამალულია.

ბოლო პერიოდში თბილისში სწრაფი მოდერნიზაცია უზარმაზარი პრობლემაა. ურბანული სივრცის ასეთი შეუსაბამო გადაწყვეტა მნიშვნელოვანი გახდა ხელოვან ნინო ქვრივიშვილისა და კურატორ ირენა პოპიაშვილისათვის, რომლებმაც საგამოფენო ბანერებით სცადეს გამოეჩინათ ადგილის ორიგინალური ფუნქცია, კერძოდ, ყოფილი ტექსტილის მალაზია, რომელიც დღეს ინვესტორების საკუთრებაში არსებული ადგილია. ამ ფორმით ირენა პოპიაშვილმა და ნინო ქვრივიშვილმა წარმოაჩინეს სამრეწველო ქსოვილების წარმოების ისტორიული ფაქტი დროითი დისტანციიდან და საკუთარი შემოქმედებითი პოზიცია დააფიქსირეს. მან ეს ქსოვილები შეუთავსა მუზეუმის გამოყენებულ, მეორეხარისხოვან ნივთებს და ამ ფორმით შექმნა ახალი ნამუშევრები. ეს ნამუშევრები ცდილობენ ასახონ კოლექტიური მემსიერება და



დააკვირონ ქალაქის ორი მნიშვნელოვანი ადგილი ერთმანეთთან. ეს იდეა გამჟღავნდა გამოფენის სათაურშიც: „საბჭოთა ცისარტყელა: ტექსტილის მაღაზიიდან მუზეუმამდე“.

აბრეშუმის მრეწველობა, პირადი და კოლექტიური მოგონებები

ტატიანა ფიოდოროვას რეზიდენცია აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმში

CEC ArtsLink-ის მიერ მხარდაჭერილი Art Prospect Project-ის ფარგლებში, GeoAIR-თან თანამშრომლობით, 2018 წლის ივნისში აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმში მოღვაწე ხელოვანის, ტატიანა ფიოდოროვას, სარეზიდენციო პროექტი განხორციელდა. ამ პროექტში ხაზგასმულია ხალხის უხილავი როლი საბჭოთა ტექსტილის წარმოებაში და ადამიანების ცხოვრებაში, რომელიც ცხადყოფს, თუ როგორ ვრცელდება გარკვეული იდეოლოგია ან დროის პერიოდი მისი დასრულების შემდეგაც კი. საბჭოთა პერიოდის აბრეშუმის მრეწველობისა და ქსოვილების კვლევა ავლენს უამრავ საკითხს, როგორც არის ქსოვილის მესხიერება ყოველდღიურ თუ კოლექტიურ ცხოვრებაში, გენდერი, შრომის ეთიკა და სხვ.

რეზიდენციის დასასრულს მოეწყო ჯგუფური გამოფენა სახელწოდებით „სუნთქვა“, სადაც წარმოდგენილი იყო სახელოვნებო წიგნები. ეს ნამუშევრები ინტერპრეტაციული ანალიზით აკავშირებდა სხვადასხვა თემას, როგორცაა აბრეშუმის წარმოება და რეალიზაციის პროცესი, მუზეუმის ისტორია, ყოფილი აბრეშუმის ქარხნების მუშაობა და დღევანდელი მდგომარეობა. ტატიანა ფიოდოროვასთან ერთად პროექტზე ინტენსიურად მუშაობდნენ საქართველოდან მონაწილე მხატვრები: თამარ ბოჭორიშვილი, ნინო ჯინჭარაძე, ნაილი ვახანია და ნინო ზირაქაშვილი.


ტატიანა თავისი სარეზიდენციო პროექტით ტექსტილის წარმოებაზე არსებული დოკუმენტებით განიხილავს საბჭოთა ისტორიას - იმ ზოგად თემას, რომელსაც ხელოვანი თავის შემოქმედებაში ხშირად ამუშავებს პირადი პერსპექტივიდანაც. ამ პროექტის ფარგლებში წარმოდგენილი იყო იმდროინდელი ინდუსტრიალიზაციის მხატვრული



კვლევის შედეგები, მათ შორის აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმისა და საქართველოს ეროვნული არქივის საარქივო მასალებზე დაფუძნებული სხვადასხვა პუბლიკაცია.

აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმის პუბლიკაციების კოლექციაში შედის საბჭოთა დროინდელი ჟურნალები "ტექსტილის მრეწველობა". 1930-1960 წლებში ამ ჟურნალის ნომრების ყდებიდან, რომლებიც ასახავდნენ ინდუსტრიაში მომუშავე ქალებს, ტატიანამ ააწყო ლექსორელოს გასულელი წიგნი. საბჭოთა პერიოდში შრომაზე და განსაკუთრებით ქალთა შრომაზე აქცენტის გაკეთება მნიშვნელოვანი საკითხია. ჟურნალები და გაზეთები ხშირად ამუშავებდნენ წარმატებული მუშების ისტორიებს, ღირსიანი სახეებით და უტოპიური ცხოვრების წესით. ჟურნალები წარმოაჩენს ადამიანთა შრომით და კლასობრივ თანასწორობას, სადაც პრივილეგია არ არსებობდა. მუშების ყოველდღიური რეალობა კი შესაძლოა საპირისპირო ყოფილიყო. ამ საკითხზე ხელოვანის კვლევა ცალკე განხორციელდა ამ ინდუსტრიაში მომუშავე ადამიანების გამოკითხვით, რომლებიც არცთუ მარტივ მუშაო პირობებსა და ვითარებას აღწერდნენ. ამ თვალსაზრისით, გარეკანები შეიძლება აღქმული იყოს, როგორც სახელმწიფო იდეოლოგიის მხარდასაჭერი ინსტრუმენტი.

ეს იდეა განსხვავებული ფორმით გრძელდება ტატიანას ამავე რეზიდენციაში შექმნილ სხვა ნამუშევარში სახელწოდებით „ДЕЛО“ (რუსული ბიზნესისთვის დანერგილი საქალაქური). მხატვრის ეს წიგნი შეიცავს თბილისის აბრეშუმის საქსოვი ქარხნის 1920-1960 წლების დოკუმენტებს, რომლებიც ხელმისაწვდომია საქართველოს ეროვნულ არქივში. საარქივო დოკუმენტებთან ერთად წიგნი ეფუძნება ინტერვიუებს იმ ადამიანებთან, რომლებიც მუშაობდნენ თბილისის ორ ქარხანაში და ასევე, ჟურნალ „აბრეშუმის“ სტატიებს (1939-1940 წლები და 1989 წ.). ეს ნამუშევარი ავლენს იმას, თუ რამდენად ურთიერთსაინანაღმდეგო შეიძლება იყოს ოფიციალური დოკუმენტები და პირადი ისტორიები, იმდროინდელ საქართველოში აბრეშუმის წარმოების პროცესის შესახებ. როგორც ხშირად ასეთი დაპირისპირება ცხადყოფს, ორივე სახის ინფორმაცია მოგვითხრობს განსხვავებულ ამბებს, ერთი იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს ოფიციალური თხრობა - „წარმატების ისტორიები“, და მეორე, რეალური ადამიანების ყოველდღიური პერსპექტივიდან გახსენებული ამბები და მოგონებები. ამგვარი შეპირისპირებით ვფიქრდებით, თუ რამდენად შეიძლება ოდნავ განსხვავებული ყოფილიყო რეალობა ციფრებსა და სურათებს მიღმა.





თამუნა ჭაბაშვილი მოსაჩითი ნიმუშების წიგნი

ვიზუალური ხელოვანის, თამუნა ჭაბაშვილის, „მოსაჩითი ნიმუშების წიგნი“ ერთ-ერთი განსაკუთრებული მაგალითია, რომელიც ფართო კონცეპტუალური ნარატივით ტექსტილს მედიუმს ეფუძნება. ზოგადად, ჭაბაშვილი ხშირად მუშაობს გენდერულ თემებზე და ამ საკითხს ტექსტილის საშუალებით გამოხატავს. ერთ-ერთი აღრინდელი მაგალითია მისი თანამშრომლობა ანთროპოლოგ აგნიესკა დუდრაკთან, სახელწოდებით „საკუთარი სუფრა“, რომელიც ქალთა მიმართ ოჯახური ძალადობის თემას ეხებოდა და შეიცავდა მრავალ კომპონენტს, მათ შორის ინსტალაციას, წარმოსახვით ბინას - დაყოფილს მეორადი მაგიდის ტილოებით. ამ პროექტის შესახებ მეტი ინფორმაციის ნახვა შეგიძლიათ ვებ გვერდზე: <https://supraofherown.wordpress.com>

„მოსაჩითი ნიმუშების წიგნი“ გამოხატავს ხელოვანის დაკვირვებას, რომელიც ტექსტილის მედიუმშია თარგმნილი. თამუნა ჭაბაშვილმა საქართველოში ქალთა ყოველდღიური ცხოვრების ამსახველი გამოსახულებები შეაგროვა და არსებული სოციალური პერსპექტივით განიხილა. თავად ხელოვანი პროექტის აღწერაში აღნიშნავს:

„ტრადიციული ლურჯი სუფრის მეშვეობით, ყურადღებას ვამახვილებ არსებულ უფსკრულზე „ტრადიციასა“ და „ყოველდღიურ ცხოვრებას“ შორის. ლურჯი სუფრის ნიმუშები ძველ ამბებს მოგვითხრობს. ისინი წარსულში მოქმედი რიტუალების ატრიბუტებია. ამჟამად ნიმუშები ატარებენ დეკორატიულ ფუნქციას, უსასრულოდ იმეორებენ ძველ ნარატივებს. ჩემთვის ისინი წარმოადგენენ ჩვეულებრივ სოციალურ-კულტურულ ნიმუშებს, რომლებიც გავლენას ახდენენ და ხშირად არღვევენ ჩვენს ცხოვრებას. იმისათვის, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს ნიმუშების ეს როლი, ლურჯი სუფრის ტრადიციული ფორმისა და მისი კომპონენტების (ქსოვილი, ნიმუშები, ფერები) დეკონსტრუქციას მივმართავ. ჩემი მცდელობაა ახალი შინაარსით დამუხტული ფუნქციისა და ტრადიციული ტექნიკის რეინტეგრაცია დაუკავშირდეს ჩვენს დღევანდელ სოციალურ კონტექსტს“.

ტრადიციული ტექსტილის დამზადება საქართველოში, ისევე როგორც კავკასიაში, მოიცავდა სხვადასხვა ტექნიკას, მათ შორის ერთ-ერთი იყო ხის საბეჭდავებით ქსოვილზე ბეჭდვის ტექნიკა. სწორედ ეს იყო საქართველოში ტრადიციულად დამზადებული ე.წ. ლურჯი სუფრის დამზადების მეთოდი, რასაც აღნიშნავს ხელოვანი. თავის ნამუშევრისთვის ჭაბაშვილმა ქალების ყოველდღიური ცხოვრებისა და რიტუა-



ლების გამოსახულებები ინტერნეტის მეშვეობით შეაგროვა. ეს ნიმუშები ბევრად აბსტრაქტულია და თანამედროვე ყალიბების მიხედვით არის დაბეჭდილი ლურჯ ქსოვილზე, რომელიც წიგნის ფორმატითაა აკინძული. ამგვარი ფორმატის არჩევით ავტორმა მნახველებთან ინტერაქცია განახორციელა, რამდენადაც დამთვალეიერებლები ნამუშევარს რეალური შეხებით ეცნობოდნენ. ამგვარმა ურთიერთქმედებამ ასევე შექმნა გარკვეული დინამიკა - ერთის მხრივ, ტექსტილის ტაქტილური, ინტიმური განცდის გამოცდილება და მეორე მხრივ, ტექსტილის წიგნიდან ინფორმაციის საერთო პერსპექტივით აღქმის შესაძლებლობა. მხატვრის ექსპერიმენტი ტექსტილის დამზადების ტრადიციული მეთოდის გამოყენებით მის კონცეპტუალურ ხედვაზე დაფუძნებული. როგორც თავად თამუნა აღნიშნავს, თუ ტრადიციული სუფრის ტილო ყურადღებას აქცევს უფრო დიდ ამბავს, თავისი ნამუშევრით ხელოვანი ცალკეული საგნებით ინტერესდება და მათ „მოსაჩიითი ნიმუშების წიგნში“ აძლევს სივრცეს თხრობისთვის.

ამ ტექსტის საწყისი კითხვის პასუხად, მინდა ჩემი ბლოგი ჩემივე კოლეგის, დათა ჭილაშვილის, ციტატით დავასრულო:

„ტექსტილი გვაძლევს შესაძლებლობას ვიმოგზაუროთ სხვადასხვა დროში და ვიფიქროთ მრავალფეროვან სოციო-პოლიტიკურ თემებზე, რომლებიც დაკავშირებულია ქსოვილის წარმოებასთან. ქსოვილი მისი დიზაინის მიღმა, საშუალებას გვაძლევს მეხსიერების, იდეოლოგიის, ტრანსფორმაციისა და პარადოქსების თემებზე ვისაუბროთ, განვიხილოთ სხვა დასხვა დროსა და ადგილებს შორის კავშირი, სქესი, პირადი გამოცდილები, ქალაქები, სივრცეები და მრავალი სხვა საკითხი“.





TEXTILE AND POLITICS

M A R I A M S H E R G E L A S H V I L I

The text is an adapted version of an online lecture "Textile and Politics" organized by University of Underground in collaboration with the State Silk Museum and curator Data Chigholashvili.

Textile – medium of tactility, sensuality is one of the most archetypal and expressive human-made phenomena. For centuries, textiles were formed as a field of decorative and applied art. Georgia has a unique history of producing handmade textile. However, in my recent blog I would like to analyze some of the artistic projects using textile as conceptual medium. How textile can speak historical perspective and how it might has a socio-cultural dimension?

Nino Kvrivishvili

Soviet Rainbow from textile Shop to the Museum

Nino Kvrivishvili, visual artists based in Georgia, focuses on the topic of Soviet textile as a materialized remnant from the recent past of Georgia's history, as well as an aesthetic phenomenon still preserved in older generation's folk memory. Nino Kvrivishvili studied Soviet-era textiles and worked at the the State Silk Museum in the framework of Art intervention project in 2016. She was particularly inspired by the industrial Soviet fabrics from the museum's textile collection, produced in the late 80s of the 20th century. At that time, Kvrivishvili researched and found leftover pieces of fabrics that used to be sold at "Rainbow" (Tsisartkela), a famous textile shop in Tbilisi back then. It is interesting that if we look at the patterns of industrially produced Soviet textiles, we will easily find visual similarities between them, even if they used different colours and abstract geometric combinations, this collection of Soviet textile design evokes a visual atmosphere of the late Soviet time. Such kind of tangible connection was emphasized in Nino Kvirivishvili's work as well. An artistic response to that time production was evoking nostalgic memory, especially for the visitors whose daily past was actually connected to those fabrics. As we see, in this case, textile as an aesthetic product, also reflects on social demand of a particular time frame. In her research, Nino Kvrivishvili tried not only to reinterpret textile as a material product but as a symbol of collective memory. She also tried to connect urban transformation of the city to her research topic. Nino Kvrivishvili identified the exact places where the textile shops "Rainbow" used to be and represented her exhibition posters nearby as a symbolic mark to remind the history of the place itself. These banners somehow accentuate the current careless attitudes towards our recent past which usually preferred to destroy or to hide.

In our recent time Tbilisi has a huge problem of fast modernisation. Such an inappropriate solution of the urban space became important for artist Nino Kvrivishvili and curator Irena Popiashvili. Using the exhibition banners Nino and Irena tried to highlight the original function of the place a former textile shop, which was under construction as an investor-owned place. Within this format artist and curator tried to represent the historical fact of producing industrial textiles from the distance of the time and from the creative perspective; she combined these textiles with unused, secondary objects from the museum and created new works. These artworks try to reflect collective memory and to connect two important places of the city - this idea was declared in the exhibition title as well : **"Soviet Rainbow: From Textile Shop to Museum."**



Silk Industry, people, personal and collective memories

Tatiana Fiodorova's residency at the State Silk Museum

In the framework of the Art Prospect Project supported by CEC ArtsLink, in collaboration with GeoAIR, in June 2018 the State Silk Museum hosted a residency project of artist Tatiana Fiodorova from Moldova. This project was focusing on people's role in silk production that elucidates how a certain ideology or time period extends even after it ends and new layers are built on it. Researching silk industry and textiles during the Soviet time is revealing a number of topics such as its memory in the everyday or the collective, or also gender and labor, and many more.

Towards the end of the residency, we organized a group exhibition called "Breathe" that presented artist's books created through artistic research, interpretatively analyzing and connecting to different topics such as silk production and realization process, history of the museum, work of former silk factories and the situation today.


Participating artists from Georgia: Tamar Botchorishvili, Nini Jincharadze, Naili Vakhania and Nino Zirkashvili intensively worked together with Tatiana Fiodorova.

Some of Tatiana's works focused on different social aspects connected to the silk production in Georgia mostly in the 20th century. Her whole research rethinks the Soviet history, which is generally a topic she deals with through her work, often from a personal perspective as well. The artistic research findings about industrialization of that time were presented under this project, including multiple publications based on archival

materials from the State Silk Museum and the National Archives of Georgia that the artist worked on.

The State Silk Museum's publication collection includes Soviet-time magazines "Textile Industry." From the covers of this magazine's issues during 1930-1960, those portraying female workers of the industry, were assembled in an accordion-style book. Placing emphasis on labor and particularly, female labor in the Soviet time is an important issue. Magazines and newspapers would often cover the stories of successful workers, with smiling faces in the controversially utopian lifestyle. As though presenting equality of people in labor, where class and privilege were said not to exist. The reality of everyday and workers might have been the opposite, especially as people working in this industry recall afterwards, that was part of the research to conduct interviews with them. In that sense, the covers could also be deceiving, taking people and their work as a tool to support the state ideology.

This further continues in another piece, called "ДЕЛО", Russian for business, written on paper folders. This artist's book contained Tbilisi Silk Weaving Factory's documents from 1920-1960 available at the National Archives of Georgia, interviews with people who used to work at the two factories in Tbilisi, magazine "Silk" articles from 1939-1940, and from 1989, as well as interviews with the alumni of Tbilisi State Academy of Arts, altogether revealing and contrasting official and personal stories about the silk production process in Georgia at that time. As often such juxtapositions reveal, the two tell different stories, one what the official narrative and reports presented in the story of 'success,' and the other that looks from an everyday perspective and reveals memories, as well as how the reality could have differed behind the numbers and images.





Tamuna Chabashvili The Book of Patterns

"The Book of Patterns" by visual artist Tamuna Chabashvili is one of the special examples which uses textile as a medium for wider conceptual narrative. In general, Chabashvili has been working on gender topics and expressing it through textile in her practice. One of earlier examples is her collaboration with anthropologist Agnieszka Dudrak, called "Supra of Her Own" which concerned the topic of domestic violence against women, and had multiple components, including an installation, an imagined apartment partitioned by used table cloths bearing the stories that the women had shared. You can see more information about this project on its web page: <https://supraofherown.wordpress.com>

"The Book of Patterns" expresses artist's careful observation translated into textile medium. Tamuna Chabashvili collected the images from women's everyday lives in Georgia, and considered them through current social perspective. As she mentions in the project description:

"Taking traditional Blue Tablecloth as one of my reference points I focus on the existing gap between 'tradition' and 'everyday life'. The patterns on the Blue Tablecloth tell old stories. They are attributes to the rituals active in the past. At present the patterns carry a decorative function, endlessly retelling old narratives. For me they represent conventional socio-cultural patterns that tend to influence and often violate our lives. In order to question this role of the patterns, I deconstruct the traditional form of the Blue Tablecloth to its components (fabric, patterns, colours). By doing so, my attempt is to reintegrate the function and the technique charged with new content into our present social context."

The traditional textile making in Georgia, as well as in the Caucasus, included various techniques, one of them being woodcut printing on fabric, the samples of which can be seen at the museum. It was a technique used for the so-called Blue Tablecloth traditionally made in Georgia that the artist references to. In the artwork the images of women's everyday lives and rituals, that Chabashvili collected on the internet, are abstracted into contemporary patterns on woodblocks that are stamped on blue fabric assembled in a textile book. Choosing a

book format for representation of her work, the author provoked visitors to really touch the artwork itself. This kind of interaction also created a certain dynamic, on the one hand an intimate feeling of textile tactility and on the other hand, a common collective perception of getting information from the textile book. Artist's experiment by using traditional method of textile making refers to her conceptual vision. As she mentions in the description, if the traditional table cloth gives attention to a larger story, in her work she is interested in individual ones and to give them a space for narration in a "Book of Patterns."

As a response of the starting question in this essay, I would like to finalize my blog with quotation of my colleague Data Chigholashvili: "Textile give us possibility to travel through different times and reflect on diverse socio-political topics that are connected to its production and related processes. Going beyond just the fabric and its design, and integrating its production story and larger narratives, can allow us to talk on the topics of memory, ideology, transformation and paradoxes in it, connection of places in different times, gender, personal experience, urban spaces and many others."



წარდგენა

ქსოვილი

მასალა

იდეა

ექსპერიმენტი

Chubika

ნიმუ რუბინიშვილი



**მე ვარ
გზაჯვარიანიზა, სარას
ხელოვნება და მოდა
ერთმანეთს ერწყმის**

ჩემი ხელოვნებისა და დიზაინის ობიექტების პასიურად მოხმარების წინააღმდეგი ვარ, ამიტომ მსურს კომუნიკაცია და მხატვრული ისტორიების გაცვლა ქვეცნობიერის დონეზე სულიერი იდეების გადაცემის გზით - რადგან საიდუმლო და წმინდა გზავნილი შეიძლება იყოს უფრო გამჟღავნებული, ვიდრე მხოლოდ კონცეფციის ჩამოყალიბება. ჩემი მხატვრული ხედვის ცენტრალური იდეაა არქიტექტურის, ქანდაკებისა და დიზაინის ოსმოსის ლამაზ ობიექტებად გარდაქმნა და ღრმა იდეების მარტივი ხელმისაწვდომი გზით გადმოცემა. მაგალითად... შავი სახე წარმოადგენს ძლიერ დაცვას ბოროტებისგან, ხოლო თეთრი სახე არის - სინამდვილე. ამჟამად მე ვარ იმ გზაჯვარედინზე, სადაც ხელოვნება და მოდა ერთმანეთს ერწყმის, სადაც ღრმა მხატვრული იდეები შეიძლება გადაიცეს საგნების მეშვეობით.



ეს ნივთები უნდა იყოს ჩვენი კოლექტივის ვიზუალური მეტაფორები, რომლებიც ქვეცნობიერად დაკავშირებულია მითოლოგიურ არქეტიპებთან, რაც გვეხმარება ნავიგაციაში იდეალურსა და რეალურს შორის, და მივიღოთ საიდუმლოების ჰიპნოზი. მხატვრები არ ქმნიან მხოლოდ ხელოვნებას, ისინი ქმნიან და ინარჩუნებენ მითებს. ამრიგად, არქაული ღმერთები და ქალღმერთები შეიძლება დაკრისტალიდეს თანამედროვე ობიექტებად და იმსახურონ მფარველებად, ისევე როგორც ქიმერები, რომლებიც მფარველობენ პარიზის ღვთისმშობელს.

დამაჯერებელი არტისტები ყოველთვის არიან პროტაგონისტების არასოდეს შეორეხარისხოვანი პერსონაჟები, რომლებიც ბინადრობენ სტერეოტიპებში. თუმცა, მინდა, რომ ჩემმა მყიდველმა აქტიური მონაწილეობა მიიღოს შემოქმედებით პროცესში, გავლენა მოახდინოს ჩემს გადამწყვეტილებებზე და გადასცეს პიროვნების გამაძლიერებელი შეტყობინებები. ასეთი ურთიერთობის დამყარება დამეხმარება ხალხის გადაყვანაში ერთგვაროვნებისა და ბანალურობის ბატონობისგან თავისუფალ ადგილას.



ნინო ჩუბინიშვილი, იგივე ჩუბიკა (დაბ. 1969 წ.), დიზაინერია, რომელიც ამჟამად ცხოვრობს თბილისში. მან მიიღო ბაკალავრის ხარისხი თბილისის სახვითი ხელოვნების აკადემიაში სასცენო და კოსტიუმების დიზაინში და დაამთავრა ფრანგული ინსტიტუტის ასპირანტურა მოდის დიზაინში (2005-2006 წწ.). მონაწილეობა აქვს მიღებული მრავალ ღონისძიებაში, მათ შორის გამოფენაში საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, თბილისი (2014); Weltkunstzimmer, Düsseldorf (2014); არტარეა, თბილისი (2013); კობრას მუზეუმში, ამსტერდამი (2009); და არტისტერიუმი, თბილისი (2008). 2014 წელს ჩუბიკა თანამშრომლობდა ქორეოგრაფ ანდრე ნიომთან საცეკვაო სპექტაკლზე ყოველწლიურ ავინიონის ფესტივალზე ავინიონში, საფრანგეთი. იგი მუშაობდა მრავალ მოდის სახლთან, მათ შორის Kenzo და Pierre Cardin-თან და დააპროექტა კოსტიუმები თეატრალური კომპანიებისთვის მთელი საქართველოს მასშტაბით. 2015 წ. მან გახსნა თბილისის მოდის კვირეული თავისი სპექტაკლით "Secret Garden by Chubika". სოლო ჩვენება ქონდა ნიუ-იორკის გალერეაში - Artingeneral, სახელწოდებით "Echoes", კურატორი ვატო წერეთლი; სოლო გამოფენა აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმში, სახელწოდებით "მე-5 ოთახი", კურატორი გიორგი სპანდერაშვილი (2017წ.), ხელოვანი აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო და ადგილობრივ გამოფენებსა და სახელოვნებო ღონისძიებებში.

ნინო
ჩუბინიშვილი
a.k.a

ჩუბიკა



a.k.a



Nino
Chubinishvili
a.k.a
Chubika

Nino Chubinishvili a.k.a Chubika (born.1969), designer who currently resides in Tbilisi, Georgia, received bachelor's degree in Stage and Costume Design from the Academy of Fine Arts in Tbilisi and a post-graduate degree in Fashion Design from the Institute Francais de la Mode in Paris (2005-2006). She has participated in numerous events, including the exhibition in Georgian National Museum, Tbilisi (2014); Weltkunstzimmer, Düsseldorf (2014); Artarea, Tbilisi (2013); Cobra Museum, Amsterdam (2009); and Artisterium, Tbilisi (2008). In 2014, Chubika collaborated with choreographer Julie Nioche on a dance performance for the annual Avignon Festival in Avignon, France.

She has worked with multiple fashion houses including Kenzo and Pierre Cardin, and designed costumes for theater companies throughout Georgia. She opened Tbilisi Fashion Week with her performance "Secret Garden by Chubika".(2016) She had a Solo show in NYC gallery- Artingeneral, called "Echoes", curated by Wato Tsereteli, 2015; Solo Show "5th Room" curated by George Spanderashvili at the State Silk Museum (Tbilisi, Georgia) in 2017. Nino Chubinishvili a.k.a Chubika is actively participating different international and local exhibitions and art events.



In 21st century **OUR IDENTITY** more
CORRESPONDS to a
MASK as a role in a **SOCIAL MEDIA**





Chubika

I am against passive consumption of my objects of art and design therefore I want to communicate and exchange artistic stories via transmitting spiritual ideas at subconscious level – as secret and sacred message can be more revealing than just formulating the concept. The central idea of my artistic vision is to transform the osmosis of architecture, sculpture and design into beautiful objects and convey profound ideas in a simple accessible way. For example... black face represents powerful protection from evil, and white face is – purity. Currently I am at the juncture where art and fashion converge, where deep artistic ideas can be transmitted via objects.

These items are supposed to be visual metaphors of our collective unconsciously linked to mythological archetypes, which help us navigate between ideal and real, and embrace the hypnotism of mystery. Artists don't just make art, they generate and maintain myths. Thus, archaic gods and goddesses can be crystallized into modern objects and serve as protectors, just like chimeras patronizing Notre Dame de Paris.

Convincing artists are always protagonists' never secondary characters who inhabit stereotypes. However, I want my buyer to actively participate in a creative process, impact my decisions and transmit personality enhancing messages. Establishing this kind of reciprocity will help me to transport people somewhere free from domination of uniformity and banality.


Nino Chubinishvili a.k.a. CHUBIKA



თამუნა ჭაბაშვილი

ღაუცველობის საზღვრები





ინსტალაცია, სახელწოდებით “დაუცველობის საზღვრები”, რაც გამოფენის სათაურიც გახდა (“დაუცველობის საზღვრები” საბინა ჰორნიგი/თამუნა ჭაბაშვილი 10 სექტემბერი – 22 ოქტომბერი 2023, კუნსტჰალე თბილისი და გალერეა ართობითი), გაჭიმულ თოვებზე გადაფენილ ფანჯრის ცხაურის ორნამენტთან ქსოვილებს წარმოადგენს. რბილი, გამჭირვალე ქსოვილები დაუცველობის განცდას ქმნიან. იმის ნაცვლად, რომ უზრუნველყონ უსაფრთხოება თუ სიმყუდროვე, დელიკატური და დამყოლი ელემენტები რბილ ბადეს ხლართავენ საგამოფენო სივრცეში. ამავდროულად, თითოეული მათგანი ცდილობს თავი დაიმკვიდროს და საკუთარი ადგილი განსაზღვროს ამ კონტექსტში. აქ ეფემერულობა განგრძობადი მდგომარეობაა, რომელიც არასტაბილურობის და მოწყვლადობის გრძნობის ხარჯზე შემოქმედებითობასა და მოქნილობას აძლიერებს.

“... კამუფლაჟი ფერადი ნაჭრებით მორთულ ნატვრის ხეს, იმედის სიმბოლოს ჰგავდა...”

“ამ გამოფენის შთაგონება ჩემს მიერ ახალ ამბებში ნანახი უკრაინელი ქალების მიერ მოქსოვილი სამხედრო კამუფლაჟის ბადე გახდა. აქ ჩემი ყურადღება ბადეზე დამაგრებული ფერადი ქსოვილის ნაკუნებმა მიიპყრო, რომელთა ფაქიზი ხასიათი პარალელურად დიდ ძალას ავლენდა. გარდა ამისა, კამუფლაჟი ფერადი ნაჭრებით მორთულ ნატვრის ხეს, იმედის სიმბოლოს ჰგავდა. კამუფლაჟის ბადე, როგორც ნატვრის ხე, სულიერი და ფიზიკური თავდაცვის მეტაფორაა. ჩემი სახელოვნებო პრაქტიკა დაარქივების და ნაკვალევების საკითხებს უკავშირდება, რომელშიც ქსოვილი საყრდენი ბადეა. ნამუშევრებში ქსოვილების ინტეგრირებით განსხვავებულ ელემენტებს ვაერთიანებ, სადაც ქსოვილი როგორც შედეგად ტექტილურ და ვიზუალურ ინფორმაციას ატარებს. სწორედ ადამიანის მიერ შექმნილი სისტემების ეფემერულობა და მონყვლადობა გახდა ამ ინსტალაციის კვლევის საგანი, სადაც სისტემების მხატვრულ სახეებსა და ქსელებზე მოვხაზინე დაკვირვება.” - თამუნა ჭაბაშვილი

ბადის ფუნქციონალობის კვლევის პროცესში ეს ობიექტი გრძელვადიანი თავდაცვის სისტემად გარდაიქმნა, რომელიც შესაძლებელია საყრდენად გამოიყენო, შეინახო ან გამართო საჭიროების შესაბამისად. ეს კი ხელოვანს შესაძლებლობას აძლევს დროებითობის, როგორც მიმდინარე მდგომარეობის ცნება შესწავლის ინდივიდუალური დაუცველობის პერსპექტივიდან.

